

**12 მაისი**

**მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია თბილისის კლუბებში**

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

2018

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი



ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს (EMC)“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია) და არ გამოხატავს ღია საზოგადოების ფონდის პოზიციას.

**ანგარიშის ავტორები:**

გურამ იმნაძე  
კახაბერ სოსელია  
ეკა მამრიკიშვილი

**ანგარიშზე პასუხისმგებელი პირები:**

ნონა ქურდოვანიძე  
სულხან სალაძე  
სოფო ვერძელი

**დამკაბადონებელი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**გარეკანი:** სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 150

ISBN: 978-9941-8-0348-2

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ავტორების ნებართვის გარეშე.

# სარჩევი

შესავალი .....	6
მეთოდოლოგია.....	8
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები .....	11
1. საპოლიციო ღონისძიებამდე არსებული კონტექსტის მიმოხილვა .....	16
2. 12 მაისს კლუბებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შეფასება .....	19
2.1. ჩხრევის აღწერა .....	19
2.2. ჩხრევის დასაბუთებულობა .....	21
2.3. ჩხრევის ჩატარებისას არსებული პროცედურული პრობლემები.....	28
2.4. საპოლიციო ძალის პროპორციულობის შეფასება.....	37
3. 12 მაისს მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა.....	44
3.1. სპონტანური აქციის ორგანიზება კლუბ “ბასსიანთან” .....	44
3.2. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მნიშვნელობა და 12 მაისის შეკრების ბუნება .....	46
3.3. 12 მაისის მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლის შეფასება .....	50
3.4. პოლიციის ვალდებულებები მშვიდობიანი შეკრების კონტექსტში .....	55
4. ადმინისტრაციული დაკავებების კანონიერების შეფასება.....	57
4.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენება შეკრების უფლების სანინააღმდეგოდ.....	58
4.2. ადმინისტრაციული დაკავებები და მასთან კავშირში სავარაუდო უფლების დარღვევის შემთხვევები .....	60
4.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვა სასამართლოში....	70

## შესავალი

2018 წლის 12 მაისს, თბილისში ფართომასშტაბიანი საპოლიციო ოპერაცია ჩატარდა, რომელიც თავისი ფორმით, გამოყენებული საპოლიციო ძალითა და შედეგებით, განსაკუთრებით ინტენსიური იყო. თბილისში მდებარე ორ ღამის კლუბში – „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“ – ერთდროულად, ღამის 01:00 საათიდან, დიდი რაოდენობით პოლიცია შევიდა და საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კლუბებში შესვლიდან მოკლე დროში გააკეთა განცხადება, რომ კლუბებში სასამართლოს განჩინების საფუძველზე ტარდებოდა ჩხრეკა. საპოლიციო ოპერაცია დაიწყო იმ დროს, როდესაც კლუბებში დაგეგმილ ღონისძიებებზე დასასწრებად უკვე არაერთი სტუმარი იმყოფებოდა.

12 მაისის საპოლიციო ღონისძიებაში მონაწილეობდა მრავალი სამართალდამცავი, მათ შორის, ნიღბიანი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელთა გამოჩენამაც კლუბების ტერიტორიაზე განსაკუთრებული შიში, დაუცველობის განცდა და დაბნეულობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ კლუბების შიდა ტერიტორიაზე, პოლიციის მხრიდან უფლებების დარღვევის მძიმე და მასშტაბურ შემთხვევებს ადგილი არ ქონია, მოულოდნელად, მძიმე შეიარაღებით, პოლიციის გამოჩენა კლუბის შიდა ტერიტორიაზე სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული ძალის დემონსტრირებაზე მიუთითებდა. ამ მოსაზრებას ამყარებს 12 მაისის საპოლიციო ოპერაციამდე განვითარებული კონტექსტი, რომელმაც ნარკოტიკული ნივთიერებებით ზედღობის შემთხვევების მკვეთრი პოლიტიზირება მოახდინა და ხელი შეუწყო ნარკოპოლიტიკის მხარდამჭერი ჯგუფების დისკრედიტაციის კამპანიას, რამაც ერთგვარი ნიადაგი შეუქმნა სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული ნაბიჯების გადადგმას.

ღონისძიების დაწყებისთანავე, პოლიციამ კლუბების ტერიტორია დაატოვებინა ადგილზე შეკრებილ სტუმრებს, რომლებმაც კლუბების გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლეს. საპოლიციო ოპერაციის დაწყების შესახებ მედიასა და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელებას, კლუბების მიმდებარე სპონტანური საპროტესტო აქციის ორგანიზება მოყვა. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ პოლიციის გადანწყვტილებას, ამ ფორმითა და მასშტაბებით ჩაეტარებინა ოპერაცია და სოლიდარობას უცხადებდნენ ღამის კლუბებს.

პოლიცია დიდი ძალებით იყო მობილიზებული კლუბების გარე ტერიტორიაზეც. კლუბ „ბასსიანთან“ მიმდინარე სპონტანურ აქციას მოკლე დროში მოქალაქეების დიდი რაოდენობა შეუერთდა. ადგილზე შეკრებილი მოქალაქეები ცდილობდნენ ვითარებაში გარკვევას, თვითორგანიზებას და პროტესტის გამოხატვას. თუმცა, ადგილზე მობილიზებული პოლიცია მათ არ აძლევდა პროტესტის თავისუფლად დაფიქსირების შესაძ-

ლებლობას. პოლიცია ცდილობდა ხელოვნურად, პოლიციის კორდონების მეშვეობით, ერთმანეთისგან გაემიჯნა აქციის მონაწილეები და არ მიეცა აქციის განვითარების საშუალება. კლუბის შიდა პერიმეტრისგან განსხვავებით, პოლიცია გამოკვეთილად პროვოკაციული და აგრესიული იყო კლუბების გარეთ, აქციის მონაწილეების მიმართ.

12 მაისის ღამეს პოლიციამ 40-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ადმინისტრაციული წესით დააკავა. მოქალაქეებს ძირითადად წვრილმანი ხულიგნობის, ან/და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველით აკავებდნენ. დაკავებულებს შორის იყვნენ კლუბ „ბასსიანის“ თანადამფუძნებლები, „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ აქტივისტები და აქციის სხვა პოტენციური ლიდერები. პოლიციის გადაწყვეტილებები აქციის მონაწილეების დაკავებებზე ხშირ შემთხვევაში იყო შერჩევითი და თვითნებური; მეორე მხრივ, მულაგნდებოდა პოლიციის სტრატეგია, რომ აქციისთვის გაერიდებინა ყველა შესაძლო, პოტენციური ორგანიზატორი. როგორც წესი, პოლიცია დაკავებულებს არ განუმარტავდა დაკავების საფუძველს, გართულებული იყო დაკავებულების ადგილსამყოფელის დადგენა და ადვოკატების დროულად შეხვედრა მათი დაცვის ქვეშ მყოფებთან.

დაკავებების პარალელურად, პოლიციამ მიიღო კლუბ „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიანი აქციის დაშლის გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც სპონტანური აქცია სრულად ინარჩუნებდა არაძალადობრივ და მშვიდობიან ფორმას. პოლიციამ ფიზიკური ძალის გამოყენებით დაიწყო ტროტუარების გათავისუფლება აქციის მონაწილეებისგან ისე, რომ მათთვის მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ არ უცნობებია და სამართლებრივი ან ფაქტობრივი საფუძველები არ განუმარტავს. პოლიციის ამგვარმა მოქმედებამ სიტუაციის დამატებითი ესკალაცია გამოიწვია და არსებითად ხელყო მშვიდობიანი შეკრების უფლება.

12 მაისის მოვლენები ბოლო წლების განსაკუთრებით მასშტაბურ საპოლიციო ოპერაციას წარმოადგენდა. საპოლიციო ღონისძიების ხასიათი, დრო, გამოყენებული საპოლიციო ძალის მასშტაბი და ინტენსივობა, შექმნილი კონტექსტის გათვალისწინებით, მიუთითებდა სახელმწიფოს მხრიდან ძალის და სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის დემონსტრირების გადაწყვეტილებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ მასშტაბური საპოლიციო ოპერაციის მიუხედავად, პოლიციას კლუბების შიგნით არ დაუკავებია არცერთი პირი. კლუბების შიგნით პოლიციამ გააკეთა მოწოდება, რომ კლუბის სტუმრებს საკუთარი ნებით დაეტოვებინათ ნარკოტიკული ნივთიერებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც თავისთავად გამორიცხავდა კლუბის შიგნით ნარკოტიკის უკანონო ფლობის ან ნარკოტიკის გასაღების ფაქტის გამოვლენას.

ამასთან, 12 მაისსვე, საქართველოს სახალხო დამცველმა საზოგადოებას მიანოდა ინფორმაცია, რომ პოლიციას კლუბებში შესვლამდე 2 საათიან პერიოდში უკვე დაკავებული ყავდა 8 პირი ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის. ყველა მათგანის დაკავება პოლიციის კლუბებში შესვლამდე მოხდა. შესაბამისად, გაჩნდა არაერთი კითხვა, თუკი პოლიცია კლუბებში კონკრეტული პირების დასაკავებლად არ შედიოდა, მაშინ რა გახდა კონკრეტულ დროს, ამ მასშტაბის ძალით, კლუბებში შესვლის საფუძველი. შინაგან საქმეთა მინისტრის ხანგრძლივი საპარლამენტო მოხსენების და სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან მედიაში გაკეთებული არაერთი განმარტების მიუხედავად, უწყების პასუხი ამ კითხვაზე ცალსახა და ნათელი ამ დრომდე არ არის.

12 მაისს განხორციელებულმა საპოლიციო ღონისძიებამ, კლუბების გარეთ ათეულობით პირის დაკავებამ და პოლიციის აგრესიულმა მოქმედებამ შემდგომ დღეებში მასშტაბური საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია. როგორც ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს 12 მაისს კლუბებში და კლუბების გარეთ განვითარებული მოვლენების კანონიერების საკითხს. სამართლებრივი რეაგირებისთვის განცხადებები ასევე შესულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

მოცემული ანგარიშით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წარმოადგენენ 12 მაისს კლუბებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, პოლიციის მხრიდან გამოყენებული ძალის და დაკავებების კანონიერების და პრორორციულობის საკითხის ერთობლივ სამართლებრივ შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი ანგარიში, ერთი მხრივ, გახდეს 12 მაისს და მასთან კავშირში, უფლებების დარღვევის ფაქტების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების და სათანადო რეაგირების საფუძველი. მეორე მხრივ, საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაიზიაროს 12 მაისის საპოლიციო ღონისძიებასთან დაკავშირებით არსებული დასაბუთებული კრიტიკა და პოლიციის სისტემის შემდგომი რეფორმირების პროცესი დაგეგმოს.

## მეთოდოლოგია

წარმოდგენილ დოკუმენტში შეფასებულია, 12 მაისს, თბილისში მდებარე ორ დამის კლუბში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიება და კლუბების მიღმა განვითარებული მოვლენები. კერძოდ, კლუბებში ჩატარებული ჩხრევის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა, ასევე კლუბ „ბასიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშვიდობიანი შეკრების დაშლის კანონიერება და აქციის მონაწილეების ადმინისტრაციული დაკავებები. ანგარიში აფასებს მხოლოდ 12 მაისის მოვლენებს და დოკუმენტში ყურადღება არ არის გამახვილებული

მომდევნო დღეებში თბილისში განვითარებულ მოვლენებზე, რომლებიც 12 მაისს განხორციელებულ მასშტაბურ საპოლიციო ღონისძიებებს უკავშირდებოდა.

რაც შეეხება ანგარიშზე მუშაობის დროს გამოყენებულ ინსტრუმენტებს – კვლევის გუნდის შეფასებები და დასკვნები ეყრდნობა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ერთობლივ ანალიზს. ანგარიშის ავტორები მიმართავდნენ ინფორმაციის გადამონმების და შედარების მეთოდებს და ანგარიშში წარმოდგენილია ის საკითხები, რომლებიც რამდენიმე წყაროს საშუალებით ერთგვაროვნად ფისქირდებოდა. ამდენად, ანგარიშში არ მოხვდა ცალკეული ფაქტები, რომლებიც შესაძლოა სამართალდამცავი ორგანოების გადაცდომებზე მიუთითებდა, თუმცა ანგარიშის ავტორებმა, შეზღუდული მანდატის გათვალისწინებით, ვერ მოახერხეს ამ ინფორმაციის გადამონმება და დაზუსტება.

ანგარიშში წარმოდგენილი მსჯელობა ეფუძნება შემდეგი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას:

- **საჯარო ინფორმაცია** – კვლევის გუნდმა, 12 მაისის საპოლიციო ღონისძიებასთან კავშირში, ანგარიშის მომზადებისთვის საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რათა შეძლებისდაგვარად დეტალურად აღედგინა სურათი 12 მაისს გამოყენებული საპოლიციო ძალის, პოლიციის დანაყოფების, ღონისძიებაში მონაწილე პოლიციელთა რაოდენობის, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირების შესახებ. საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილი იყო სახალხო დამცველის ოფისიდანაც, რათა კვლევის გუნდს ჰქონოდა სრული ინფორმაცია დაკავებული აქციის მონაწილეების და მათ მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების შესახებ. აგრეთვე გაანალიზდა სამინისტროს წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლები სხვადასხვა ფორმატებში (როგორც სატელევიზიო გადაცემებში, აგრეთვე სამინისტროს ბრიფინგები და მინისტრის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში);
- **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების შესწავლა** – კვლევის მიზნებისათვის გამოიკითხა, 12 მაისს, ადმინისტრაციული წესით დაკავებული 15 პირი. გამოკითხული პირებიდან 5 იყო კლუბ „ბასსიანის“ თანამშრომელი. კვლევის პროცესში ასევე შესწავლილ იქნა გამოკითხული პირებიდან 11 დაკავებული პირის ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმები და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 4 საქმეზე მიღებული დადგენილებები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის სასამართლოში ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირების საქმეების განხილვა არ არის დასრულებული;

- **ინდივიდუალური ახსნა-განმარტებები** – კვლევის გუნდმა 38 ინდივიდუალური ახსნა-განმარტება ჩამოართვა უშუალოდ 12 მაისის მოვლენების მონაწილეებს, მათ შორის, დაკავებულ პირებს, კლუბ „ბასსიანის“ წარმომადგენლებსა და აქციაზე მყოფ პირებს. ახსნა-განმარტებებმა და გამოკითხვებში დაფიქსირებულმა თანმხვედრმა ინფორმაციამ, ანგარიშის ავტორებს, 12 მაისის მოვლენების მაქსიმალურად დეტალურად აღდგენის საშუალება მისცა;
- **მედია-მონიტორინგი** – ვინაიდან 12 მაისს განვითარებულ მოვლენებს პირდაპირ რეჟიმში აშუქებდა არაერთი მედია-საშუალება, ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო სწორედ მედიაში გასული სიუჟეტები იყო. ამ მიზნით, კვლევის გუნდმა სრულად გააანალიზა რელევანტური მედია-მასალა;
- **კანონმდებლობისა და რელევანტური სტანდარტების ანალიზი** – კვლევის ფარგლებში აგრეთვე სრულყოფილად გააანალიზდა რელევანტური კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ისევე როგორც ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა. კვლევის მიზნებისთვის, მეორადად გააანალიზდა რელევანტური ადგილობრივი კვლევები, სადაც შესწავლილი იყო სამართალდამცავთა ქმედებები შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს.

კვლევისთვის არსებითი მნიშვნელობის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაცია 12 მაისის საპოლიციო ღონისძიებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ უპასუხა ანგარიშის ავტორების წერილს და გარკვეული ინფორმაცია მიაწოდა კვლევის ჯგუფს, არსებითი ხასიათის და მნიშვნელობის მქონე საკითხებთან დაკავშირებით სამინისტრომ ინფორმაცია არ გაასაჯაროვა. კერძოდ, უწყებამ მთლიანად დაფარა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირი იყო პასუხისმგებელი ჩატარებულ ღონისძიებაზე; სამინისტროს რომელი დანაყოფები და რა რაოდენობის თანამშრომლები მონაწილეობდნენ 12 მაისის საპოლიციო ღონისძიებაში; როგორი წესით მიიღება სამინისტროს მიერ სპეცრაზმის გამოყენებაზე გადაწყვეტილება; რამდენი პირი დააკავა პოლიციამ 12 მაისის მოვლენებთან კავშირში.

კვლევის მიზნებისთვის, აგრეთვე დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 12 მაისს დაკავებულ პირთა ნაწილის მიმართ ამ დრომდე არ არის დასრულებული საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქმის წარმოება. ასეთ პირობებში კი კვლევის გუნდი მოკლებულია შესაძლებლობას, სრულყოფილად შეაფასოს კონკრეტული საქმეები, საქმეებში არსებული მტკიცებულებები და საქმის დასაბუთების ხარისხი.



ანგარიშის ავტორები საწყის ეტაპზე ასევე გვეგმავდნენ, ანგარიშში დოკუმენტირებული ყოფილიყო ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის შესაძლო ფაქტები, რაზეც 12 მაისის მოვლენების შემდეგ რამდენიმე მედია საშუალების წარმომადგენელი საუბრობდა. თუმცა, რამდენადაც ჟურნალისტების მხრიდან სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სრულფასოვანი გამოყენება არ მომხდარა, ანგარიშის ავტორებმა ვერ შეძლეს საჭირო მონაცემების მოპოვება, დამუშავება და სურათის აღდგენა, რაც სამართლებრივი შეფასების მომზადებისთვის იყო აუცილებელი.

ანგარიშის ავტორები მაღლიერებას გამოხატავენ იმ პირების მიმართ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ახსნა-განმარტებებში და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიანოდეს ავტორებს. ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ანგარიშში მოყვანილ შეფასებებს და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმით უპასუხებენ აღწერილ პრობლემებს.

## ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

12 მაისის საპოლიციო ღონისძიება, ჩატარების დროის, ფორმებისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, ბოლო წლების განსაკუთრებულად მასშტაბურ საპოლიციო ოპერაციას წარმოადგენდა. თანადროულად თბილისის ორ ლამის კლუბში დიდი რაოდენობით პოლიციის, მათ შორის, შეიარაღებული სპეცრაზმის გამოჩენამ ადგილზე მყოფ ადამიანებში შიშის და დაუცველობის შეგრძნება გააჩინა და სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული ძალის დემონსტრირების შთაბეჭდილება შექმნა. კლუბებში ჩხრეკას სპონტანური აქციის ორგანიზება მოყვა, სადაც პოლიციამ 40-ზე მეტი აქციის მონაწილე ადმინისტრაციული წესით დააკავა. აქციის სხვა მონაწილეებს კი ფიზიკური ძალის გამოყენებით დაათვებინა კლუბ „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორია და არ მისცა მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

წარმოდგენილ ანგარიშში შეფასებულია კლუბების ჩხრეკის გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საგამოძიებო მოქმედებისთვის გამოყენებული საპოლიციო ძალის პროპორციულობა, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაში ჩარევისა და ადმინისტრაციული დაკავების საკითხები.

კვლევის ფარგლებში შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოვლინდა:

- ლამის კლუბებში ჩხრეკის ჩატარების ნებართვა, 2018 წლის 10 მაისს, გასცა თბილისის საქალაქო სასამართლომ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განჩინებით პოლიციას ეძლეოდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა საგამოძიებო მოქმედე-

ბები, რომლითაც მასშტაბურად იზღუდება კონსტიტუციური უფლებები, ჩხრეკის თაობაზე სასამართლოს გაცემულ განჩინებაში არ არის მითითებული კონკრეტულად რა ნივთის/ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად მიენიჭა პოლიციას კლუბებში შესვლის უფლება, რაც განჩინების ერთ-ერთი აუცილებელი რეკვიზიტია;

- ჩხრეკის შესახებ სასამართლოს განჩინებაში, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ასევე არ არის დასაბუთებული თითოეულ ღამის კლუბთან მიმართებით ჩხრეკის ჩატარების საფუძვლიანობა. განჩინებაში წარმოდგენილი მსჯელობა აბსტრაქტული და გენერალიზებულია;
- ბუნდოვანია, რა იყო 12 მაისს, ღამის საათებში, კლუბებში პოლიციის შესვლის მიზანი, მაშინ როდესაც 8 პირი, ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების ბრალდებით, პოლიციას კლუბებში შესვლამდე უკვე დაკავებული ყავდა;
- ღონისძიებების მიზნები კიდევ უფრო ბუნდოვანია იმ ფონზე, როცა თავად შს სამინისტრო ადასტურებს, რომ პოლიცია არცერთ კლუბში კონკრეტული პირის დაკავების მიზნით არ შესულა და მათ იქ მყოფ სტუმრებს საჭაროდ მოუწოდეს, რომ „დაეყარათ“ ნარკოტიკული ნივთიერებები და მათ არავითარი სანქცია არ დაეკისრებოდათ;
- თუკი პოლიციას კლუბების ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის მიზანი ამოძრავებდა, მაშინ გაუგებარი რჩება, რატომ არ ჩატარა პოლიციამ ჩხრეკა ისეთ დროს, როცა კლუბებში კონკრეტული ღონისძიებები არ იქნებოდა, მითუმეტეს რომ პოლიციამ ჩხრეკის ჩატარების ნებართვა სასამართლოსგან 10 მაისს მიიღო;
- 12 მაისს, ორივე კლუბში ჩხრეკა ჩატარდა ღამის საათებში. კანონმდებლობა ღამის საათებში ჩხრეკის ჩატარებას მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ჩხრეკის ოქმში გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ აღნიშნული არ არის;
- ჩხრეკის პროცესში, კლუბ „ბასსიანის“ წარმომადგენლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, სრულად დასწრებოდნენ საგამოძიებო ღონისძიებას. კლუბის წარმომადგენელს საგამოძიებო ღონისძიების დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შესთავაზეს სამართალდამცავებმა მოქმედებებზე უშუალოდ დასწრება, რაზეც კლუბის წარმომადგენელმა უარი განაცხადა;
- კლუბ „ბასსიანის“ ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ საგამოძიებო ღონისძიებაში მონაწილეობდა პოლიციის 10 თანამშრომელი. თუმცა, აღნიშნული არ არის იმ ათეულობით პოლიციელის (მათ შორის, სპეცრაზმის) როლზე, რომლებიც ასევე იმყოფ-

ფეხოდნენ კლუბის შიდა ტერიტორიაზე. ჩხრეკის ოქმში ასევე მითითებულია, რომ საგამოძიებო მოქმედება კლუბის ტერიტორიაზე დაიწყო 12 მაისს, ღამის 2:40 საათზე, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია კლუბში შევიდა დაახლოებით ღამის პირველ საათზე. ჩხრეკის ოქმში არ არის აღნიშნული, რა ხდებოდა თითქმის ორი საათის განმავლობაში კლუბის ტერიტორიაზე;

- პრობლემურია ჩხრეკის პროცესში სპეცრაზმის გამოყენების საკითხი. 12 მაისის საპოლიციო ღონისძიებაში სპეცრაზმის ჩართვა ძალის დემონსტრირებად და არაპროპორციულ ღონისძიებად შეიძლება შეფასდეს იმ პირობებში, როცა კლუბის შიგნით შეიარაღებული პირის, ან პოტენციური წინააღმდეგობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა;
- გასაიდუმლოებულია სპეცრაზმის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა, რაც გამოიწვია ამ საკითხის სათანადო კონტროლს და მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს უწყების ანგარიშვალდებულებისთვის;
- მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, კლუბის ტერიტორიაზე სტუმრების პირადი ჩხრეკა არ ჩატარებულა, კლუბ „ბასსიანზე“ მყოფი რამდენიმე პირის ახსნა-განმარტება მიუთითებს, რომ პოლიციამ 3 პირი ადგილზე გაჩხრიკა, თუმცა აღნიშნული მოქმედება არც ერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის აღწერილი;
- კლუბ „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სპონტანური შეკრების მონაწილეების მიმართ პოლიცია გამოიჩინა აგრესიით. ადგილზე მობილიზებულმა დიდი რაოდენობით სამართალდამცავებმა კლუბის გარეთ მყოფ პირებს არ მისცეს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა;
- პოლიციამ ხელოვნურად, ორად გაყო აქციის მონაწილეები და ქუჩის სხვადასხვა მხარეს მდებარე ტროტუარებზე გაანაწილა. მოგვიანებით კი დაიწყო ფიზიკური ძალის გამოყენებით ტროტუარების გათავისუფლება აქციის მონაწილეებისგან და ისინი აიძულა წერეთლის ქუჩის მიმდებარედ, ზედა ქუჩებზე გადასულიყვნენ. ამ ქმედებით პოლიციამ პრაქტიკულად დაშალა სპონტანური აქცია, რომელიც იყო მშვიდობიანი. პოლიციას წინასწარი განმარტებები აქციის მონაწილეებისთვის არ გაუკეთებია და არ მიუცია გონივრული დრო ტერიტორიის მშვიდობიანად დასატოვებლად. აღნიშნული ქმედებით პოლიციამ დაარღვია მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციური უფლება;
- კლუბ „ბასსიანის“ მიმდებარედ პოლიციის ქმედება იყო პროვოკაციული და აგრესიული. პოლიცია არ ცდილობდა მოქალაქეებთან მშვიდობიან კომუნიკაციას და სიტუაციის განმუხტვას;

- კლუბ „ბასსიანის“ მიმდინარე აქციისას სამართალდამცავებმა 40-ზე მეტი პირი ადმინისტრაციული წესით დააკავეს, მათ შორის, აქციის პოტენციური ლიდერები და ორგანიზატორები. პოლიციის მხრიდან მასიური დაკავებების გამოყენება თვითნებობის და საპროტესტო მუხტის განეიტრალების შთაბეჭდილებას ტოვებდა;
- დაკავებულთა ნაწილი პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე მიუთითებდა. ადმინისტრაციული დაკავების ოქმები 5 პირის ფიზიკურ დაზიანებებზე მიუთითებს. განსაკუთრებით მძიმეა ერთ-ერთი დაკავებულის საკითხი, რომლის სამედიცინო დოკუმენტაციაშიც მარცხენა ბეჭის ძვლის მოტეხილობა ფიქსირდება;
- კვლევის მიზნებისათვის გამოკითხული პირებიდან არცერთს არ განემარტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი და დაკავების საფუძვლები. ასევე არ განემარტათ უფლებები, მათ შორის, უფლება ჰყოლოდათ ადვოკატი;
- გამოკითხული პირების დიდი ნაწილის დაყოვნება მოხდა საპატრულო პოლიციის მანქანებში. დაკავებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღნიშნავდა, რომ ისინი დაკავების შემდეგ გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. სხვა გამოკითხულები, ახსნა-განმარტებების მიხედვით, დაახლოებით 5-6 საათი იზოლატორთან იმყოფებოდნენ;
- ადმინისტრაციული დაკავების ოქმები შედგა დაკავებიდან დაახლოებით 2-3 საათში. კვლევის მიზნებისათვის შესწავლილი ახსნა-განმარტებების საფუძვლზე იკვეთება, რომ მხოლოდ 3 დაკავებულს გადაეცა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი;
- ადმინისტრაციული დაკავების ოქმების ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიცია დაკავების ოფიციალურ მიზეზად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ხმაურს, მოქალაქეების შეწუხებას, აგრესიულობას, ლანძღვა-გინებას და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისადმი დაუმორჩილებლობას ასახელებდა;
- რიგ შემთხვევებში, პოლიციელები, რომლებიც სასამართლოს წინაშე ამტკიცებდნენ კონკრეტულ პირთა მიერ სამართალდარღვევების ჩადენას, უშუალოდ არ მონაწილეობდნენ მათი დაკავების პროცესში და პირადად არ შესწრებიან ამ პირთა მიერ შესაძლო სამართალდარღვევების ჩადენას;
- სასამართლოს მიერ 4 პირის საქმეზე გამოტანილი დადგენილებები შაბლონურია და ეფუძნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმებში ასახულ ინფორმაციას;
- სასამართლო არ ახდენს წვრილმანი ხულიგნობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის – „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის“ – განმარტებას;

- სასამართლო, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებულ საქმეებში, არ აფასებს, რამდენად კანონიერი იყო თავად პოლიციელის მოთხოვნა;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში „მტკიცების სტანდარტის“ არარსებობა, სამართალდამცავ ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვან მტკიცებულებათა წარდგენის მიზნით დასაბუთებულობის მხოლოდ ფორმალური და არა შინაარსობრივი მხარე.

ანგარიშში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, კვლევის გუნდი შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს სახელმწიფო უწყებებს:

- პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, 12 მაისს, კლუბ „ბასსიანის“ შიდა პერიმეტრზე განხორციელებული უკანონო პირადი ჩხრეკების შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებით;
- პროკურატურამ ასევე დაიწყო გამოძიება, 12 მაისს, პოლიციის მხრიდან აქციის მონაწილეთა შესაძლო უკანონო დაკავებისა და ძალის გადამეტების შემთხვევებზე;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დეტალურად შეისწავლოს 12 მაისს კლუბ „ბასსიანთან“ მიმდინარე სპონტანური აქციის დაშლის ეპიზოდი. შესწავლის პროცესში უნდა დადგინდეს, ვინ მიიღო აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილება და რა კონკრეტული ინსტრუქციები მიეცათ სამართალდამცავებს 12 მაისის ღამეს აქციის მართვასთან დაკავშირებით;
- სასამართლო ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება გაამახვილოს ჩხრეკის კანონიერების მაღალი სტანდარტით შემოწმებაზე, მათ შორის, საჭიროა გაიზარდოს განჩინების დასაბუთების ხარისხი. სასამართლომ განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა შეაფასოს ვადის ხანგრძლივობა, რომელშიც საგამოძიებო ორგანოებს ეძლევათ კონკრეტული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა; აგრეთვე, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა წრე, რომელთაც კონკრეტული საგამოძიებო ღონისძიებით შეიძლება შეეზღუდოს კონსტიტუციური უფლებები;
- საქართველოს პარლამენტმა გაატაროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს ფუნდამენტური რეფორმა და უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო უფლების გარანტიების დაცვა სამართალწარმოების პროცესში;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჯაროვოს სპეცრაზმის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიცვას „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით დადგენილი მოთხოვნები და უარი თქვას, თვითნებურად და დაუსაბუთებლად, ადმინისტრაციული დაკავებების გამოყენებაზე, აგრეთვე ამ გზით შეკრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლაზე;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს თანამშრომელთა დამატებით მომზადება მშვიდობიანი შეკრების მართვის, აქციის ორგანიზატორებთან და მოქალაქეებთან მოლაპარაკებების საკითხებში;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ გაასაჯაროვონ ზედღობრებით გარდაცვალების ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შედეგები და დამატებითი ინფორმაცია მიანოდონ საზოგადოებას 12 მაისს ჩატარებული მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების შედეგებთან დაკავშირებით;
- ნარკოპოლიტიკის თემით პოლიტიკური მანიპულაციების დასრულების მიზნით, პარლამენტმა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება რეფორმის დაჩქარებულად და მოკლე ვადებში გატარებასთან დაკავშირებით და მხარი დაუჭიროს მაღალი კონსენსუსით მომზადებული რეფორმის კანონპროექტს, რომელიც პარლამენტში უკვე ერთი წელია ინიცირებულია.

## 1. საპოლიციო ღონისძიებამდე არსებული კონტექსტის მიმოხილვა

2018 წლის 12 მაისის საპოლიციო ღონისძიების შეფასება მოითხოვს, მათ შორის, განხილული იყოს საპოლიციო ღონისძიებამდე არსებული კონტექსტი, რომელიც თავის მხრივ დიდწილად უკავშირდება ნარკოპოლიტიკის რეფორმის მოთხოვნით მიმდინარე ხანგრძლივ და ფართომასშტაბიან საზოგადოებრივ კამპანიას.

2017 წლის ზაფხულში, ამ მოვლენებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, საქართველოს პარლამენტში დაინიცირდა საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ ერთობლივად<sup>2</sup> შემუშავებული კანონპროექტი,<sup>3</sup> რომელიც მიზნად ისახავს ახალი, ჰუმანური ნარკოპოლიტიკის დანერგვას ქვეყანაში. კანონპროექტის ინიცირების შემდგომ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, განსხვავებულ ფორმატებში მიმდინარეობდა აღნიშნულ კანონპროექტ-

2 კანონპროექტი მომზადდა საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ.

3 <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/djanmrteლობის-dacvisa-da-socialur-sakibtxa-komiteti-149/narkopolitikis-reforma>



გე მსჯელობა. თუმცა, ხელისუფლებაში მკვეთრი პოლიტიკური ნების არარსებობის და შეუთანხმებლობის გამო, რეფორმაზე გადაწყვეტილება ამ დრომდე არ აქვს მიღებული საქართველოს პარლამენტს.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან ნარკოპოლიტიკის რეფორმის დისკუსიებმა ახალი მიმართულება შეიძინა. 12 მაისის საპოლიციო ღონისძიების წინა პერიოდში, ნარკოპოლიტიკის რეფორმის ავტორებისა და მხარდამჭერი ჯგუფების საინიციატივოდ მძლავრი და ორგანიზებული კამპანია მიმდინარეობდა. განსაკუთრებული დარტყმების ქვეშ მოძრაობა „თეთრი ხმაური“ და კლუბი „ბასსიანი“ აღმოჩნდნენ.

2018 წლის აპრილსა და მაისის დასაწყისში, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ნარკოტიკული საშუალებით მოქალაქეების ზედღობირების რამდენიმე შემთხვევა. საერთო ჯამში, ოფიციალური მონაცემებით ათამდე ინტოქსიკაციის შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც 4 ლეტალურად დასრულდა.<sup>4</sup> ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციით, ოთხივე შემთხვევაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) აწარმოებს გამოძიებას.<sup>5</sup> მედია-საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ზედღობირების შედეგად დაღუპული ორი ადამიანის ექსპერტიზით დადგინდა, რომ ლეტალური შედეგის მიზეზი ნარკოტიკული საშუალება „ფენტანილი“ იყო.<sup>6</sup>

ნარკოტიკის ზედღობირებით გამოწვეულ ფატალურ შედეგებზე მოძრაობა „თეთრმა ხმაურმა“ რამდენიმე განცადება გააკეთა, სადაც მოსახლეობას აწვდიდა კონკრეტული ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებსზე ინფორმაციას.<sup>7</sup> აგრეთვე, მიუთითებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არაეფექტურობაზე და ზოგადად სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, რათა შესაბამის უწყებებს დროულად მოეხდინათ მსგავსი შემთხვევების პრევენცია და მოსახლეობისთვის მიენოღებინათ ინფორმაცია, რა კონკრეტული ნივთიერება იყო ზედღობირების მიზეზი.<sup>8</sup>

ამავე პერიოდში, სამართალდამცავებმა ნარკოტიკის გასაღების ფაქტებზე რამდენიმე პირი დააკავეს თბილისსა და რეგიონებში. ბრალდების ვერსიით, ერთ-ერთი დაკავებული, რომელიც სავარაუდოდ თავის მეგობართან ერთად ინტერნეტის საშუალებით ასაღებდა ნარკოტიკულ საშუალებებს, თბილისის ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფი-

4 <https://on.ge/story/22111-ნარკოლოგების-ვარაუდი-უცნობი-ნარკოტიკული-ნივთიერება-ფენტანილი-იგივე-თეთრი-ჩინელია>

5 <http://www.tabula.ge/ge/story/132391-beselia-savaraudod-narkotikebit-gardacvilibze-gangashis-zarebia-shemo-sakravi>

6 <http://liberali.ge/news/view/37087/fentanili-da-skhva-nivtierebebi--ra-aghmochnda-zedozirebit-gardatsvilta-organizmshi>

7 <http://liberali.ge/news/view/36017/tetri-khmauri-nivtiereba-mefedronis-mokhmarebis-riskebze-rekomendatsiebs-avrtselebs>

8 <https://on.ge/story/22091-თეთრი-ხმაურის-მოძრაობა-2-ახალგაზრდა-გარდაიცვალა-პასუხისმგებლობას-ვაკისრებთ-სახელმწიფოს>

ლების თანამშრომლის ძმა აღმოჩნდა.<sup>9</sup> აღსანიშნავია, ისიც, რომ ამავე განყოფილების კიდევ ერთი თანამშრომელი, 2018 წლის მარტში მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის.<sup>10</sup>

მოგვიანებით, სხვადასხვა მედია-საშუალებაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომხდარი ინციდენტები კავშირში იყო კლუბურ ცხოვრებასთან, რადგან ზედოზირების შემთხვევებამდე, დაღუპული ადამიანები იმყოფებოდნენ თბილისში არსებულ სხვადასხვა ღამის კლუბში.<sup>11</sup> ამას მოჰყვა თბილისში არსებული კლუბ „ბასსიანის“ წინააღმდეგ საჯარო მონოდებები, მათ შორის პოლიტიკოსების მხრიდანაც.<sup>12</sup> ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა განვითარებულ მოვლენებში მმართველი პოლიტიკური პარტიის – „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ოჯახი, კონკრეტულად კი ბერა ივანიშვილი დაადანაშაულა,<sup>13</sup> რასაც ამ უკანასკნელისგან ასევე მოჰყვა საჯარო პასუხი, რომ კლუბი „ბასსიანი“ მისი არასდროს ყოფილა და მას და მთელს ოჯახს „ამ კლუბში მომხდარი „მკვლევლობების“ გამოძიებისა და დამნაშავეების სასტიკი დასჯის“ დიდი სურვილი აქვთ.<sup>14</sup> ამ პირობებში უკვე ნათელი იყო, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელების, ზედოზირებისა და ზოგადად მძიმე ნარკოვითარების საკითხი, პოლიტიკური მანიპულაციის საგნად იქცა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების წინა დღეს, 11 მაისს, პარტია „ქართული ოცნების“ ყრილობა გაიმართა და ამ დღეს პოლიტიკაში ოფიციალურად დაბრუნდა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი.<sup>15</sup> შექმნილ კონტექსტში და ამ მოვლენებთან ახლო დროის მონაკვეთში, კლუბ „ბასსიანში“ განსაკუთრებულად მასშტაბური საპოლიციო ოპერაციის განხორციელება, ლოგიკურად აჩენდა კითხვებს საკითხის პოლიტიზირების შესახებ.

9 <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/492267-internetis-sashualebith-narkotikebis-gasaghebis-saq-meze-braldebulis-dzmmam-romelic-policiis-thanamshromeli-iy-shss-datova.html?ar=A>

10 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-generalurma-inspeqtiam-vake-saburtalos-sammartvelos-tanamshromeli-narkotikis-gasaghebis-braldebit-daakava/11499>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

11 <http://rustavi2.ge/ka/news/102806>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

12 <https://1tv.ge/video/shalva-natelashvili-klub-basianis-dakhurvas-itkhovs/>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

13 <http://www.tabula.ge/ge/verbatim/132474-saakashvili-bera-klubur-narkotikebs-krishavs-da-eklesias-esxmis-tavs>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

14 <http://liberali.ge/news/view/36383/bera-ivanishvili-basiani-chemi-arasodes-yofila-da-arts-rame-kavshiri-maqvs-mis-mflobelebtan>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს.

15 <https://on.ge/story/22349-ბიძინა-ივანიშვილის-გამოსვლა-პარტიის-ყრილობაზე-სრულად>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.



## 2. 12 მაისს კლუბებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შეფასება

### 2.1. ჩხრეკის აღწერა

2018 წლის 12 მაისს, ღამის საათებში, ღამის კლუბ „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“ ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება ჩხრეკა. საგამოძიებო მოქმედებები ორივე კლუბში პარალელურად მიმდინარეობდა და მასში ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფის რამდენიმე ასეული თანამშრომელი, მათ შორის, სპეცდანიშნულების რაზმის შეიარაღებული წევრები.<sup>16</sup> ასეულობით პოლიციელი აგრეთვე მობილიზებული იყო კლუბების მიმდებარე ტერიტორიაზე.<sup>17</sup> შსს-მ იმავე დღეს გაავრცელა განცხადება, სადაც მიუთითებდა, რომ სამთვლიანი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ, 12 მაისს, ღამის კლუბებში ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები და დაკავებულია 8 პირი.<sup>18</sup>

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ერთ-ერთ წინაპირობად სამინისტრო წინა პერიოდში მოქალაქეთა ნარკოტიკული ინტოქსიკაციის გაზრდილ მაჩვენებელს ასახელებდა. მათი განცხადებით, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად ადამიანები დაიღუპნენ, „გარდაცვალების ფაქტი მოხდა კლუბებში ვიზიტის შედეგად“.<sup>19</sup> უწყება ასევე აღნიშნავდა, რომ 12 მაისამდე პერიოდში, 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა გამოსავლენად, რისთვისაც სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარდა არაერთი საკონტროლო შესყიდვა.<sup>20</sup>

16 კვლევის გუნდმა გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, უწყების რომელი დანაყოფები და რა კონკრეტული რაოდენობის თანამშრომელი იყო ჩართული კლუბების ჩხრეკის პროცესში, თუმცა სამინისტროსგან აღნიშნული ინფორმაციის მონოდებაზე უარი მივიღეთ. კვლევის გუნდის ზემოაღნიშნული შეფასებები ემყარება თვითმხილველებთან ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებსა და სხვადასხვა მედია-საშუალებების მიერ მომზადებულ სიუჟეტებს, კერძოდ: „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები გ.გ.-სთან (30.05.2018), მ.შ.-სთან (16.05.2018), მ.ფ.-სთან (18.05.2018), ბ.ჭ.-სთან (21.05.2018), თ.ა.-სთან (21.05.2018), ნ.კ.-სთან (07.06.2018), თ.შ.-სთან (06.06.2018), დ.ბ.-სთან (25.05.2018) და სხვ.; <https://imednews.ge/ge/video/6329/basiansa-da-galerishi-ganvitarebuli-movlenebi>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს; <http://rustavi2.ge/ka/news/103748>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს; <http://rustavi2.ge/ka/news/103749>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს.

17 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები დ.ბ.-სთან (25.05.2018), ა.ს.-სთან (18.05.2018), მ.შ.-სთან (06.06.2018), თ.ა.-სთან (21.05.2018), ნ.კ.-სთან (16.05.2018) და სხვ., <http://rustavi2.ge/ka/news/103758>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს; <http://rustavi2.ge/ka/news/103749>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს; <https://imednews.ge/ge/saqartvelo/61171/klub-basiantan-shekrebilebsa-da-politsielebs-shoris-pizikuri-dapirispireba-mokhda-live>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს.

18 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/11653>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 04 ივნისს.

19 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/11654>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს.

20 იქვე.

ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რაც სამართალდამცავი ორგანოს შეფასებით, გახდა ღამის კლუბებში ჩხრევის ჩატარების საფუძველი, დაკავშირებული იყო ნარკოტიკების სავარაუდო გავრცელების ადგილთან. „ვინიდან ნარკოტიკების გასაღების მრავალჯერად ფაქტს ადგილი ჰქონდა კლუბებში, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ნარკორეალიზატორებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ აღნიშნულ კლუბებთან. ნარკოტიკების გამსაღებლების მიერ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების არეალს სწორედ კლუბების ტერიტორია წარმოადგენდა. ერთ-ერთი გამსაღებელი კლუბის დაცვის წევრია“.<sup>21</sup> შსს აცხადებდა, რომ კლუბებში შევიდნენ ზუსტად იმ დროს, როდესაც „უნდა მომხდარიყო ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის, მძიმე და სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებების გასაღება, რასაც შესაძლოა კვლავ მოჰყოლოდა სიცოცხლისათვის საშიში შედეგი“.<sup>22</sup>

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, ღამის კლუბებში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები შევიდნენ დაახლოებით 01:00 საათზე.<sup>23</sup> აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა საინფორმაციო საშუალებებში<sup>24</sup> და საგამოძიებო მოქმედების ღამის საათებში ჩატარება აგრეთვე დასტურდება კლუბების თანამშრომელთა და სხვა პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით.<sup>25</sup> ამასთან, ღამის კლუბ „ბასიანის“ ჩხრევის ოქმის თანახმად, საგამოძიებო მოქმედება დაიწყო 02:40 საათზე.

12 მაისს, ღამის კლუბებში ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით არსებული კითხვები შემდეგ საკითხებს უკავშირდება:

- რამდენად არსებობდა ღამის კლუბებში ჩხრევის ჩატარების რეალური საფუძველი და რამდენად დასაბუთებული იყო სასამართლოს განჩინება ჩხრევის ჩატარების თაობაზე;
- რამდენად დაიცვა პოლიციამ ჩხრევის ჩატარების წესები უშუალოდ ღამის კლუბებში;
- რამდენად პროპორციული იყო სახელმწიფოს მხირდან გამოყენებული საპოლიციო ძალა კლუბებში ჩხრევის განხორციელებისას.

აღნიშნულ თავში სწორედ ამ მიმართულებებით იქნება შეფასებული და გაანალიზებული 12 მაისს თბილისის ორ ღამის კლუბში განხორციელებული ჩხრევა.

21 იქვე.

22 იქვე.

23 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/11654>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს.

24 <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/492620-klubebshi-basiansa-da-galerishi-samarthldamcvelebi-imyofebian.html?ar=A>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 04 ივნისს; <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/492621-shss-klub-qbasianshiq-sagamodziebo-moqmedebebi-mimdinareobs.html?ar=A>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 04 ივნისს; <http://netgazeti.ge/news/275941/>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 04 ივნისს; <https://imednews.ge/ge/saqartvelo/61169/basianze-da-galerishi-spetsrazmi-sheichra>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 04 ივნისს.

25 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ს.ბ.-სთან (07.06.2018), მ.მ.-სთან (06.06.2018), გ.გ.-სთან (21.09.2018), თ.შ.-სთან (06.06.2018), დ.ქ.-სთან (04.06.2018), გ.მ.-სთან (02.06.2018) და სხვ.

## 2.2. ჩხრეკის დასაბუთებულობა

### 2.2.1. ჩხრეკის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი

ჩხრეკის, როგორც საგამოძიებო მოქმედების მიზანი არის დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საფუძველები და პროცედურა მონესრიგებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ბუნებრივია, რომ თითოეული ასეთი ღონისძიება შესაბამისობაში უნდა იყოს კოდექსით დადგენილ წესებთან. „ჭეშმარიტება დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებითა და სხვა ფასეულობათა გათვალისწინებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში, თუ ისინი არ პასუხობენ კანონიერების მოთხოვნებს“.<sup>26</sup> შესაბამისად, თუ ჩხრეკის ჩატარებისას არსებითად დაირღვა კანონი, მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებაც ჩაითვლება დაუშვებლად და მას არ ექნება იურიდიული ძალა.<sup>27</sup>

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“<sup>28</sup> აღნიშნული ჩანაწერიდან ნათლად იკვებება, რომ ჩხრეკის ჩატარება მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი: ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება (იგივე, წინასწარი ნებართვა), ან ბ) შექმნილია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, რა დროსაც შეუძლებელია სასამართლოს წინასწარი თანხმობის მოპოვება შესაბამისი სამსახურის მიერ.

გემოაღნიშნული კონსტიტუციური სტანდარტი დაკონკრეტებულია საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, საჭიროებს მოსამართლის ნებართვას.<sup>29</sup> ხოლო როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე, საგამოძიებო ღონისძიება შეიძლება ჩატარდეს

26 იხ. თუმანიშვილი გ. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი 2014, გვ. 248.

27 საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

28 საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.

29 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სასამართლოს განჩინების გარეშე, რის შესახებაც მას უნდა ეცნობოს კანონით განსაზღვრულ ვადაში.<sup>30</sup> საპროცესო კოდექსი ასევე ზოგადად ადგენს, რომ საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, თუკი არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება.<sup>31</sup>

საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სტანდარტები ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.<sup>32</sup> შესაბამისად, საკუთრებისა და მფლობელობის ხელშეუხებლობის ცნების ქვეშ მოიაზრება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა კონსტიტუციურ უფლებები. ამ მხრივ რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება, ჩხრეკის წარმოებასთან მიმართებით არ არსებობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსხვავებულ წესს ადგენს ფიზიკური პირის და იურიდიული პირის საკუთრების ჩხრეკას შორის, თუმცა თავად უფლების შინაარსი ორივე შემთხვევაში იდენტურია.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, განჩინების ან დადგენილების საფუძველზე, გამომძიებელს უფლება აქვს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტის აღმოსაჩენად შევიდეს და გაჩხრიკოს საცავი, სადგომი, სათავსი ან სხვა მფლობელობა.<sup>33</sup> ამ შემთხვევაში ჩხრეკას ექვემდებარება არა უშუალოდ ფიზიკური პირი, არამედ მის (ან იურიდიული პირის) საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ობიექტი. ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის ობიექტი, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში.<sup>34</sup>

ამ მხრივ, აუცილებელია, ჩხრეკის ჩატარების შუამდგომლობაში ასახული იყოს, თუ რა ობიექტის აღმოსაჩენად ტარდება ჩხრეკა და რატომ არის ეს ობიექტი მნიშვნელოვანი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის. თავის მხრივ, სასამართლო ასევე ვალდებულია, განჩინებაში ასახოს ზემოაღნიშნული გარემოებები. ამასთან, ჩხრეკის ჩატარების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.<sup>35</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითალისწინებს ჩხრეკის ჩატარების თაობაზე განჩინების/დადგენილების იმ პირისათვის გაცნობის ვალდებულებას, ვისთანაც ტარდება ჩხრეკა.<sup>36</sup> „სწორედ ამ პირის (ფიზიკურის და იურიდიულის) უფლებები და ინტერესები უნდა იყოს დაცული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და მასზე უნდა

30 იქვე, მე-5 ნაწილი.

31 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი, მე-5 ნაწილი.

32 საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი.

33 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი.

34 იქვე, 120-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

35 იქვე, 119-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

36 იქვე, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

განხორციელდეს მკაცრი სასამართლო კონტროლი<sup>37</sup>. თუ ჩხრეკა ტარდება იურიდიული პირის შენობაში, მას უნდა დაესწროს მესაკუთრე, ან წარმომადგენელი.<sup>38</sup>

რაც შეეხება აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის საჭირო დასაბუთების სტანდარტს, მისი ჩატარების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, ე.ი. ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა,<sup>39</sup> რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტი.<sup>40</sup> შესაბამისად, ჩხრეკას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი.

## 2.2.2. სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციით, „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“ ჩხრეკა ჩატარდა 2018 წლის 10 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების საფუძველზე.<sup>41</sup> ჩხრეკის ამ საფუძველით ჩატარების შესახებ გავრცელდა ოფიციალური განცხადება.<sup>42</sup> სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2018 წლის 21 მარტს. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, 10 მაისს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვა ნებართვის გაცემა ღამის კლუბების – „კაფე გალერი“, „მტკვარზე“, „ბასსიანი“ და „ხიდზე“ – შენობების, ეზოებისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკის თაობაზე. იმავე დღეს, სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და განჩინებით<sup>43</sup> ნებართვა გაიცა ოთხივე ღამის კლუბში ჩხრეკის ჩატარებაზე.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება პრობლემურია დასაბუთებულობისა და საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ სტანდარტებთან ფორმალური შესაბამისობის კუთხით. განჩინება ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის კანონისმიერ სტანდარტს, რადგან არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს როგორც ზოგადად საგამოძიებო მოქმედების, ისე კონკრეტულად ჩხრეკის ჩატარების თაობაზე. განჩინებაში ვრცლად აქვს ადგილი დათმობილი შესავალ, აღწერილობით და სარეზოლუციო ნაწილებს. რაც შეეხება სამოტივაციო ნაწილს – თუ რა საფუძველით დააკმაყოფილა სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა, განჩინებაში იმაზე ყურადღება საკმარისად არ არის გამახვილებული.

37 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის N1გ-48 განჩინება, გვ. 2

38 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

39 იქვე, მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი

40 იქვე, 119-ე მუხლის პირველი ნაწილი.

41 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 01 ივნისის N MIA 7 18 01293927 წერილი.

42 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/11654>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 28 ივნისს.

43 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 10 მაისის N11ბ/6248-18 განჩინება.

განჩინების პირველ გვერდზე მოცემულია მხოლოდ შესავალი და აღწერილობითი ნაწილი. განჩინების ამ ნაწილში საუბარია, რომ სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე. აქვე მოცემულია პროკურორის შუამდგომლობის მხოლოდ ის ნაწილი, რაც შეეხება იმ კონკრეტულ ადგილებს, სადაც უნდა ჩატარებულიყო ჩხრეკა. მასში არ არის აღნიშნული, რა დასაბუთებით მოითხოვა პროკურორმა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე ნებართვის გაცემა და რა წარმოადგენდა ოთხი ღამის კლუბიდან თითოეულში ჩხრეკის ჩატარების საფუძველს; აგრეთვე, რა ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდნენ კონკრეტულ ადგილებში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტების არსებობას. თავის მხრივ, არც სასამართლო მიუთითებს სათანადო საფუძველების არსებობაზე თითოეულ კლუბთან მიმართებით. შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს, ინდივიდუალურად, თითოეულ კლუბთან მიმართებით რეალურად არსებობდა თუ არა ჩხრეკის ჩატარების საფუძველები.

სასამართლო ვალდებული იყო, თითოეულ ღამის კლუბში ჩხრეკის ჩატარების თაობაზე შუამდგომლობის დასაბუთებულობა განეხილა ინდივიდუალურად და არა საერთო ჭრილში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობდა ჩამოთვლილი ოთხი კლუბიდან ერთ-ერთში ჩხრეკის ჩატარების საფუძველი, ეს გარემოება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც წინაპირობა სხვა ღამის კლუბებთან მიმართებით იმავე საფუძველის არსებობისა.

განჩინებაში ყველაზე დიდი ადგილი დათმობილი აქვს სარეზოლუციო ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია სასამართლოს მიერ დადგენილი საკითხები და ბუნებრივია, იგი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას. განჩინების ყველაზე მცირე ნაწილს კი წარმოადგენს სამოტივაციო ნაწილი, რაც თავის მხრივ, შედგება მხოლოდ სამი აბზაცისაგან:

- პირველ აბზაცში სასამართლო საუბრობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველებზე და მხოლოდ ჩამოთვლის პროკურორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. სასამართლოს თქმით, ჩამოთვლილი მტკიცებულებები „იძლევა მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას“, თუმცა რაიმე მსჯელობა/დასაბუთება, თუ რატომ იძლევა ეს მტკიცებულებები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას ერთ ან რამდენიმე ღამის კლუბში, არ არის მოცემული. სასამართლო არ მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულებებით დასტურდება ის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები, რაც აუცილებელია ჩხრეკის ჩატარებისათვის;
- მეორე აბზაცში სასამართლო მხოლოდ ციტირებს კანონის ნორმას, რაც ზოგადად შეეხება ჩხრეკის ჩატარების საფუძველს. აქაც, რაიმე სხვა მსჯელობა მოცემული არ არის, მათ შორის, სასამართლო არც ამ შემთხვევაში მსჯელობს თუნდაც მის მიერ ციტირებული ნორმით დადგენილი სტანდარტი დასტურდება თუ არა რაიმე მტკიცე-



ბულებით და რა კონკრეტული ფაქტები ან/და ინფორმაცია არსებობს, რაც წარმოაჩენდა დამის კლუბებში ჩხრევის ჩატარების საფუძველს;

- რაც შეეხება სამოტივაციო ნაწილის მე-3 აბზაცს, „სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას, რომლებიც ასაბუთებენ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას, არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა განჩინების გაცემაზე უარის თქმას, საქმის მასალებით არ დასტურდება“. აქ სრულდება სამოტივაციო ნაწილის მე-3 აბზაცი. შესაბამისად, არც ამ აბზაცშია კონკრეტულად მითითებული, თუ რა არის ჩხრევის ჩატარების რეალური საფუძველი და რატომ არ დასტურდება ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ მასალებში არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი.

ამდენად, განჩინების არცერთი ნაწილი არ შეიცავს კონკრეტული ხასიათის მსჯელობას მის მიერ გადასაწყვეტ საკითხებთან მიმართებით. ის შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი, აბსტრაქტული ფრაზებით, რაც ვერ ჩაითვლება დასაბუთებად.

შუამდგომლობის დასაბუთება წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ განჩინების გაცემის აუცილებელ წინაპირობას, რომლის საფუძველზეც უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება. დასაბუთებული შუამდგომლობა არის მიზნის მიღწევის საშუალება. განჩინებაში მითითებული უნდა იყოს არა ზოგადი ფორმულირებები, რომელიც არ იძლევა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობის და საფუძვლიანობის დადგენის საშუალებას, არამედ პირიქით, მისი წაკითხვით ნათლად უნდა ჩანდეს ჩხრევის ჩატარების მიზანშეწონილობაც და საფუძვლიანობაც. მხოლოდ ზოგადი ფორმულირებებით, როდესაც სასამართლო არ განიხილავს კონკრეტული საქმის მტკიცებულებებს და იმას, თუ თითოეულ შემთხვევაში რა ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, შეუძლებელია დასაბუთდეს აღნიშნული გარემოებები.

როდესაც სასამართლო გასცემს ნებართვას ჩხრევის ჩატარებისათვის, ე.ი. უზღუდავს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლებებს, აუცილებელია, რომ აღნიშნული შეზღუდვა იყოს დასაბუთებული და ნათლად იკითხებოდეს, თუ რატომ – რა მიზნითა და საფუძველით ხდება უფლების შეზღუდვა. „სასამართლო კონტროლი გულისხმობს კონტროლს უფლების შეზღუდვის ნებართვაზე.“<sup>44</sup>

დასახელებულ ოთხ დამის კლუბში ჩხრევის ჩატარების დასაბუთებლად, აუცილებელი იყო პროკურორის შუამდგომლობაში და სასამართლოს განჩინებაში შემდეგი გარემოებების არსებობა ყოფილიყო დადასტურებული:

44 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის N1გ/1197 განჩინება, გვ. 3

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება;

ბ) ამ დანაშაულთან ოთხივე ღამის კლუბის კავშირი;

გ) ღამის კლუბების ტერიტორიაზე სავარაუდოდ ინახება არა რაიმე ობიექტი, არამედ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კონკრეტული ნივთი/საგანი, რომლის აღმოსაჩენად და ამოსაღებად საჭიროა ძებნა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეული ზემოაღნიშნული ელემენტის არსებობა დადასტურებული უნდა იყოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და არა უბრალოდ ეჭვით ან ვარაუდით. ამის საპირისპიროდ, განჩინებაში სასამართლო მხოლოდ ზოგადად მსჯელობს ჩხრევის ჩატარების საფუძვლებზე და მასში არ არის მიმოხილული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები. განჩინების ის ნაწილი, სადაც სასამართლო ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ნამდვილად არსებობდა ღამის კლუბების ჩხრევის საფუძველი, არის აბსტრაქტული და შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეჯამება, რომელსაც საფუძვლად არ უდევს არგუმენტაცია და საქმის მასალების მიმოხილვა.

### 2.2.3. ნივთი/ობიექტი, რომლის მოპოვების მიზნითაც უნდა ტარდებოდეს ჩხრევა

კანონმდებლობა დეტალურად ჩამოთვლის იმ სავალდებულო რეკვიზიტებს, რასაც უნდა შეიცავდეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შესახებ განჩინება და იმპერატიულად მიუთითებს, რომ ეს რეკვიზიტები სავალდებულოდ იყოს ასახული განჩინებაში. ჩხრევის განჩინებაში, მათ შორის, აღნიშნული უნდა იყოს ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია), აგრეთვე ჩხრევის დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები.<sup>45</sup> „...ჩხრევის განჩინებაში (დადგენილებაში) მიეთითება იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის შესახებ, რომლის ამოღებაც უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, საგამოძიებელი, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილზე ეძებს და იღებს იმ საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას თუ ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტს, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში“.<sup>46</sup> „როდესაც მოსამართლე იხილავს ჩხრევის ჩასატარებლად შეტანილ შუამდგომლობას, მასში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით

45 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

46 ავტორთა კოლექტივი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)“, თბილისი 2015, გვ. 392



უნდა არსებობდეს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება იმ ადგილზე ან იმ პირთან, საიდანაც ამოღება დაგეგმილი, მაგრამ მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა“.<sup>47</sup>

როგორც აღინიშნა, 12 მაისის კლუბებში ჩატარებული ჩხრევის თაობაზე ბრალდების მხარემ წინასწარ მიმართა სასამართლოს და ითხოვა ჩხრევის ჩატარებაზე ნებართვის გაცემა. როდესაც ჩხრევა ტარდება წინასწარი სასამართლო კონტროლის საფუძველზე, შესაბამისი განჩინების გამოტანამდე, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ჩხრევის ჩატარების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველი. „ფაქტობრივ საფუძველებში იგულისხმება მტკიცებულებები (ინფორმაცია, მასალები), რომლებიც ქმნიან დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ საძებნი საგანი (ნივთი და ა.შ.) არის (შეიძლება იყოს) იმ პირთან (იმ შენობაში), რომლის მიმართ ჩხრევის ან/და ამოღების შესახებ განჩინების გაცემაც არის მოთხოვნილი“.<sup>48</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს 10 მაისის განჩინებაში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი სწორედ ის არის, რომ მასში არ არის მითითებული, თუ რა კონკრეტული ობიექტის/ნივთის აღმოსაჩენად უნდა ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება. თუ უცნობია რის აღმოსაჩენად ტარდება (უნდა ჩატარდეს) ჩხრევა, მაშინ არც არსებობს მისი ჩატარების საფუძველი. ჩხრევისას იძებნება და ამოიღება კონკრეტული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში.<sup>49</sup> ჩხრევის კანონიერებისათვის მნიშვნელოვანია „ჩხრევის შესახებ სასამართლო ბრძანების სიზუსტე, მათ შორის იმ დოკუმენტებისა და სხვა საგნების განსაზღვრა, რომელთა ამოღება უნდა განხორციელდეს.“<sup>50</sup>

აღნიშნული გარემოება ცალსახად კანონის არსებითი ხასიათის დარღვევაა, რადგან ეს ვერ ჩაითვლება ტექნიკურ, ან მექანიკურ შეცდომად. რეალურად, ჩხრევის მთავარი მიზანი სწორედ კონკრეტული ნივთის/ობიექტის მოპოვებაა, ასეთი მიზნის განუსაზღვრელად კი შეუძლებელია სასამართლოს მსჯელობა იყოს დასაბუთებული. აუცილებელი რეკვიზიტის გარეშე განჩინების გამოცემა კი ავტომატურად უკანონოდ აქცევს განსახილველ განჩინებას და მის საფუძველზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას.

47 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 თებერვლის N1გ/139 განჩინება, გვ. 3

48 იქვე.

49 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

50 ტრეფსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ. 580

## 2.3. ჩხრეკის ჩატარებისას არსებული პროცედურული პრობლემები

### 2.3.1. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო

კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად დროის შერჩევას კრიტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ღონისძიების ეფექტიანობისა და ზოგადად, დანაშაულის გამოძიების კუთხით. 12 მაისს ჩატარებულ მოქმედებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს სწორედ მისი ჩატარების დრო წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, ღამის კლუბებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ღამის პირველ საათზე შევიდნენ. ჩხრეკა კი 02:40 საათზე დაიწყო. კრიტიკულად უნდა შეფასდეს რატომ გახდა აუცილებელი, კლუბებში ჩხრეკა ჩატარებულიყო ღამის საათებში, სწორედ იმ დროს, როდესაც იქ მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებები და ადგილზე იყო ბევრი სტუმარი.

საპროცესო კოდექსი ზოგადად ადგენს, რომ საგამოძიებო მოქმედების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა.<sup>51</sup> აღნიშნული წესიდან რაიმე სახის გამონაკლისს კანონმდებლობა არ უშვებს და არც ჩხრეკის ჩატარების მარეგულირებელი სპეციალური მუხლები ითვალისწინებს განსხვავებულ წესს. შესაბამისად, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია ღამის საათებში საგამოძიებო მოქმედების, მათ შორის, ჩხრეკის ჩატარება, არის გადაუდებელი აუცილებლობა. საპროცესო კოდექსის თანახმად, ღამედ ითვლება 22:00 საათიდან 06:00 საათამდე პერიოდი.<sup>52</sup>

ზოგადად, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება არსებობს მაშინ, როდესაც საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების განადგურება, ან შეუძლებელი გახდეს მისი მოპოვება, ან/და შესაძლებელია არსებობდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება.<sup>53</sup> ასეთ შემთხვევაში კონკრეტული მოქმედება (ამ შემთხვევაში – ჩხრეკა) ტარდება პროკურორის, ან/და საგამოძიებლის დადგენილებით, რაზეც უკვე მოგვიანებით, კანონით განსაზღვრულ ვადებში ხორციელდება სასამართლო კონტროლი.

განსახილველ შემთხვევაში, პროკურატურამ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა 2018 წლის 10 მაისს. იმავე დღეს, სასამართლომ გასცა ნებართვა ოთხ ღამის კლუბში ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, თუმცა საგამოძიებო ორგანოს 10 ან 11 მაისს ჩხრეკა არ ჩაუტარებია. „ბასსიანის“ ჩხრეკის ოქმის თანახმად, საგამოძიებო

51 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

52 იქვე, მე-3 მუხლის მე-17 ნაწილი.

53 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის N13/404 განჩინება, გვ. 4

მოქმედება დაიწყო 12 მაისს, 02:40 საათზე და დასრულდა 11:40 საათზე. მაშასადამე, საგამოძიებო მოქმედების დიდი ნაწილი ჩატარდა ღამის საათებში. აღსანიშნავია, რომ „ბასსიანის“ ჩხრევის ოქმში რაიმე მითითება გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაზე გაკეთებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩხრევის ოქმს ზოგადად გააჩია აღნიშნული გარემოების აღმნიშვნელი შესაბამისი გრაფები.

ჩხრევის ღამით ჩატარების საკითხზე შინაგან საქმეთა სამონისტროს მკაფიო და ერთგვაროვანი განმარტებები არ გაუკეთებია. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დღესვე უწყებამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო ღამის საათებში კლუბებში ჩხრევის ჩატარების საფუძვლებზე: „2018 წლის 12 მაისს, დაახლოებით 01:00 საათზე, ანუ სწორედ იმ დროს, როდესაც გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებებით, კლუბებში უნდა მომხდარიყო ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის, მძიმე და სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებების გასაღება, რასაც შესაძლოა კვლავ მოჰყოლოდა სიცოცხლისათვის საშიში შედეგი, „ბასსიანსა“ და „გალერიში“ საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო“.<sup>54</sup> იგივე პოზიცია ჰქონდა შს მინისტრის მოადგილეს, რომელიც აგრეთვე საუბრობდა ნარკოტიკული საშუალებების გასაღების იმნუთიერ საფრთხეზე – „ნარკოტიკული საშუალებები სწორედ იმ დროს იყიდებოდა, როდესაც შევედით, საუბარია პირველიდან ორ საათამდე პერიოდში.“<sup>55</sup>

შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში გამოსვლისას<sup>56</sup> განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ არჩევანი, საგამოძიებო მოქმედება ჩაეტარებინათ ან დილის 6-7 საათზე (მაშასადამე, დღის საათებში) ან იმ დროს, როდესაც ჩატარდა (ღამის საათებში). მინისტრის მხრიდან მსგავსი პოზიციის დაფიქსირება კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს ჩხრევის ჩატარების დროსთან დაკავშირებით, რადგან გაუგებარია რა იგულისხმება ზემოაღნიშნულ არჩევანში, მაშინ როცა მინისტრის მოადგილის თქმით, სწორედ პირველიდან ორ საათამდე პერიოდში უნდა მომხდარიყო ნარკოტიკული საშუალებების გასაღება კლუბების ტერიტორიაზე.

თუ ჩხრევის კონკრეტულ დროს ჩატარების მიზეზი იყო დასაბუთებული ინფორმაცია, რომ სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო კონკრეტულ ტერიტორიებზე ნარკოტიკული საშუალებების გასაღება, ამ შემთხვევაში არანაირი არჩევანი საგამოძიებო მოქმედების დილის 6-7 საათს ან 1-2 საათს შორის პერიოდში ჩატარებასთან დაკავშირებით არ არსებობდა. ასეთ ვითარებაში, შესაძლოა სახეზე ყოფილიყო გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, რა დროსაც სამართალდამცავებს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები დაუყოვნებლივ უნდა ჩაეტარებინათ, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ოფი-

54 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/11654>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ივნისს.

55 იხ. „ნათია მეზვრიშვილი სტუმრად გადაცემა „არჩევანში“, <https://www.facebook.com/MIAofGeorgia/videos/1400272110074784/>, (ვიდეოს მე-4-5 ნუთები), ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ივნისს.

56 იხ. გიორგი გახარიას გამოსვლა საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 18 მაისის პლენარულ სხდომაზე. გამოსვლა ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.youtube.com/watch?v=KjYaZlGhvog>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ივნისს.

ციალურ დოკუმენტაციის მიხედვით, 12 მაისს ღამის კლუბებში ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობით არ ჩატარებულა.

### 2.3.2. კლუბების ჩხრეკის შესაძლო მიზნები

როგორც აღინიშნა, სასამართლოს განჩინების აბსტრაქტული ხასიათის გათვალისწინებით, შეუძლებელია მკაფიოდ დადგინდეს, რა კონკრეტული მიზანი ჰქონდა კლუბებში ჩატარებულ ჩხრეკას. მათი ჩატარების დროსთან დაკავშირებით ასევე არ არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მკაფიო განმარტებები – რატომ გახდა საჭირო კონკრეტულ დროს კლუბებში შესვლა და იქ საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება. ასეთ პირობებში, კვლევის გუნდი იძულებულია ჰიპოთეტურად განიხილოს შესაძლო ვერსიები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს თითოეულ ვერსიას:

- **კლუბების ტერიტორიაზე კონკრეტული პირების (გამსაღებლების) აღოჩენა/დაკავება**

ეს მიზანი თავიდანვე შეიძლება გამოირიცხოს რამდენიმე მიზეზით. აღსანიშნავია, რომ თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ საქმეზე გამოძიება ჩხრეკის ჩატარებამდე 3 თვით ადრე დაიწყო და გამოძიების ფარგლებში დადგენილი ნარკოტიკული საშუალებების შესაძლო გამსაღებლები 12 მაისს, ჩხრეკის ჩატარებამდე დაახლოებით ორი საათით ადრე დააკავეს. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი არ ყოფილა კლუბების ტერიტორიაზე კონკრეტული პირების დაკავება და მათ არცერთი პირი პირადად არ გაუჩხრეკიათ კლუბებში. პოლიციამ ასევე საჭაროდ მოუწოდა კლუბში მყოფ პირებს, „დაეყარათ“ მათ ხელთ არსებული ნარკოტიკული საშუალება და მათ არ დაეკისრებოდათ რაიმე ტიპის ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ სამართალდამცავებს არ ამოძრავებდათ კონკრეტული დამნაშავეების, ან უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ფაქტის დადგენა, როდესაც ისინი ღამის 01:00 საათზე შევიდნენ კლუბებში. შესაბამისად, სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებები, რომ კლუბებში კონკრეტულ დროს შესვლა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ისინი სწორედ ამ დროს ვარაუდობდნენ კლუბების ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების გასაღებას, უსაფუძვლოა, რადგან კლუბებში შესვლის შემდეგ, პოლიციას მსგავსი ფაქტების გამოვლენა/აღკვეთა არ უცდია.

- **კლუბის ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენა**

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, პროკურატურამ ჩხრეკის ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 მაისს მი-

მართა. იმავე დღეს სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გასცა შესაბამისი ნებართვა ჩხრევის ჩატარების თაობაზე. განჩინების თანახმად, იგი ძალადაკარგული იქნებოდა, თუ საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყებოდა 30 დღის ვადაში. შესაბამისად, სამართალდამცავებს უფლება ჰქონდათ, 10 მაისიდან 30 დღის ვადაში ჩაეტარებინათ ღამის კლუბების ჩხრევა.

ზოგადად, განჩინების გაცემისას, სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს ჩხრევის ჩატარების სათანადო საფუძვლების არსებობა და ნებართვა გასცეს მხოლოდ სათანადო პირობებით ჩხრევის ჩატარების შესახებ. ვინაიდან სასამართლომ 10 მაისს სამართალდამცავ ორგანოს უკვე მიანიჭა უფლება ჩაეტარებინა ჩხრევა, იგულისხმება, რომ განჩინების გამოტანის მომენტიდან კლუბებში უკვე უნდა ყოფილიყო ნარკოტიკული საშუალებები. თუ პროკურატურის და შსს-ს ინფორმაციით, ნარკოტიკული საშუალებები ღამის კლუბებში არ ინახებოდა 10 მაისს, არამედ აღმოჩნებოდა 12 მაისს, მაშინ სასამართლოს განჩინებაშიც აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ ჩხრევის ჩატარების უფლებას შსს იღებდა მხოლოდ 12 მაისიდან და არა 10 მაისიდან. ის გარემოება კი, რომ მსგავსი ჩანაწერი განჩინებაში არ არის მოცემული, ერთადერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა – გამოძიების ინფორმაციით (რასაც დაეთანხმა სასამართლო) კლუბებში ნარკოტიკული საშუალებები უნდა ყოფილიყო 10 მაისს, განჩინების გამოტანის მომენტიდან.

როდესაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება ჩხრევაზე ნებართვის გაცემის შესახებ, განჩინების გამოტანის მომენტისთვის უნდა ივარაუდებოდეს, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე უკვე ინახება ამოსაღები ობიექტი. კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია შექმნიდა უკიდურესად სახიფათო განმარტების შესაძლებლობას, როდესაც პროკურატურას შეუძლია აბსტრაქტული საფუძვლებით და მითითებით, რომ რომელიმე ტერიტორიაზე მომავალში (თუნდაც ერთი თვის პერიოდში) აღმოჩნდება საქმისთვის მნიშვნელოვანი რაიმე ობიექტი, სასამართლოსგან მოითხოვოს და მიიღოს ჩხრევის ჩატარების უფლებამოსილება. კანონის მსგავსი განმარტება პრაქტიკულად აზრს დაუკარგავს საგამოძიებო ორგანოების კანონით და დასაბუთების სტანდარტით შებოჭვის პრინციპს და უკიდურესად აბსტრაქტულს გახდის სასამართლო კონტროლის მიზანს.

ამ მსჯელობის გათვალისწინებით და იმ დაშვებით, რომ 10 მაისს, სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტისთვის, უკვე არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ კლუბებში ინახებოდა ნარკოტიკული საშუალება, ან რაიმე ნივთი/ობიექტი, რომელიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის, გაუგებარია, რატომ არ ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები დაუყოვნებლივ, ან ისეთ დროს, როდესაც კლუბის ტერიტორიაზე არ იქნებოდნენ კლუბის სტუმრები. საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებამ, რომ ჩხრევა ჩატარებულიყო კლუბებში დაგეგმილი ღონისძიებების დროს, გაუმართლებლად გაზარდა არეულობის, დაძაბულობისა და მასშტაბური საპოლიციო ღონისძიებით გამონეწეული უარყოფითი შედეგების რისკები.

- **კლუბებში ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანის და გავრცელების პრევენცია**

მსგავსი ქმედების აღკვეთა თავისთავად შეიძლება იყოს სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი. ამავდროულად, თუკი არსებობს ინფორმაცია კონკრეტული პირის მიმართ, რომ ის კონკრეტულ დროს (მაგალითად, 12 მაისს, ღამის საათებში) აპირებს რომელიმე კლუბში ნარკოტიკული საშუალების თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო ნივთის შეტანას, ასეთ დროს სამართალდამცავებს წარმოეშობათ უფლებამოსილება, შესაბამისი საპროცესო/საგამოძიებო ღონისძიებები განახორციელონ სწორედ ამ პირის მიმართ და არა მთლიანად კლუბში. თუკი საგამოძიებო ორგანოებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ 12 მაისს კონკრეტული პირები აპირებდნენ ნარკოტიკის გასაღებას, მათ ამ პირების მიმართ შესაბამისი ზომები უნდა გაეტარებინათ იქამდე, სანამ ისინი კლუბების შიდა სივრცეებში აღმოჩნდებოდნენ.

მხოლოდ აბსტრაქტული დაშვება ან ზოგადი ინფორმაცია, რომ უცნობი ან თუნდაც ნაცნობი/იდენტიფიცირებული პირი გეგმავს ნარკოტიკული ნივთიერების კლუბის ტერიტორიაზე შესაძლო გასაღებას, რა თქმა უნდა ვერ გახდება მთლიანად კლუბის ჩხრეკის საფუძველი, მანამ, სანამ არ დასტურდება კონკრეტული კლუბების პირდაპირი კავშირი აღიშნულ დანაშაულთან. მითუმეტეს უსაფუძვლოა კლუბების ჩხრეკა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავი უწყების სამიზნე არ არის კონკრეტული პირი და არსებობს მხოლოდ ჰიპოთეტური შესაძლებლობა, რომ კონკრეტულ ღამის კლუბში შეიძლება მსგავსი დანაშაული მოხდეს.

- **ნარკოტიკის მოხმარების პრევენცია**

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ასევე აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში მოიმატა ნარკოტიკული საშუალებების ზედოზირებების თაობაზე სამინისტროს ცხელ ხაზზე შეტყობინებების რაოდენობამ სწორედ ღამის კლუბებიდან და მათი მიმდებარე ტერიტორიებიდან. აგრეთვე, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ჩხრეკის ჩატარებამდე დაკავებული პირებისგან უკვე ჰქონდათ მოქალაქეებს უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალებები. ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეული ზედოზირებების და სხვა მძიმე შედეგების თავიდან აცილება აგრეთვე წარმოადგენს სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევასთან არაფერი საერთო არ აქვს კლუბებში ჩატარებულ ჩხრეკებს. ჩხრეკის მიზანს წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის (მტკიცებულების) მოპოვება და არა რაიმე მძიმე შედეგის პრევენცია, რომელიც შეიძლება სხვა ფორმებით განხორციელდეს, მაგალითად საზოგადოების დროული ინფორმირებით. გარდა ამისა, ნარკოტიკის მოხმარების პრევენციის ვერსია შეუსაბამოაში მოდის პოლიციის მოქმედებასთან კლუბების შიგნით, კერძოდ, პოლიციის მონოღებასთან, რომ შეკრებილ სტუმრებს დაეტოვებინათ ნარკოტიკული ნივთიერებები კლუბების შიგნით.



შესაძლო ვერსიების განხილვა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არცერთი ვერსია არ არის მყარი და დამაჯერებელი. ნათელია, რომ თუკი სამართალდამცავმა ორგანომ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის დროს (10 მაისს) უკვე იცოდა, რომ კონკრეტული პირი აპირებდა კონკრეტულ ადგილებში ნარკოტიკული საშუალების გასაღებას ან/და ამ ადგილებში სავარაუდოდ უკვე ინახებოდა ნარკოტიკული საშუალება, მაშინ ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო 12 მაისის ღამის საათებამდე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დასახული ლეგიტიმური მიზნები მიღწეული იქნებოდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების მინიმალური შეზღუდვის ხარჯზე.<sup>57</sup>

### 2.3.3. კლუბ „ბასსიანის“ ჩხრეკაზე შესაბამის პირთა დასწრება

„ბასსიანის“ ჩხრეკის ოქმის თანახმად, ჩხრეკაში მონაწილეობდა თბილისის დიდუბის საუბნო განყოფილების უფროსი გ.ჩ. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის შენობაში ჩხრეკა ტარდება მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის მონაწილეობით.<sup>58</sup> იურიდიული პირის წარმომადგენლის დასწრება ჩხრეკის დროს სავალდებულოა იმ შემთხვევებში, როდესაც ამოსაღები საგანი განეკუთვნება უშუალოდ იურიდიული პირის ინტერესის სფეროს, ან/და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით შეიძლება შეიზღუდოს მათი კანონიერი ინტერესები.<sup>59</sup> „ბასსიანის“ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი არცერთი პირი ჩხრეკაში მონაწილეობას არ იღებდა. შესაბამისად მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა გახდა ამის საფუძველი.

ახსნა-განმარტებების დროს „ბასსიანის“ თანამშრომლები მიუთითებდნენ, რომ მათ მიერ ჩხრეკაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი გახდა პოლიციის თანამშრომელთა ქმედების კონტროლის შეუძლებლობა. მათივე თქმით, პოლიციის თანამშრომლები იყვნენ ბევრნი, ისინი დამოუკიდებლად გადაადგილდებოდნენ კლუბის ტერიტორიაზე, რის გამოც „ბასსიანის“ თანამშრომლებს არ სურდათ პასუხისმგებლობის აღება.

„პოლიცია დამოუკიდებლად გადაადგილდებოდა კლუბის ტერიტორიაზე, ისე, რომ მათთან ერთად არ იმყოფებოდა კლუბის რომელიმე თანამშრომელი და შესაბამისად, ჩემთვის უცნობი იყო, რას აკეთებდნენ ისინი. ფაქტია, რომ რაღაცას ეძებდნენ და ათვალთქმებდნენ ტერიტორიას ფარნების გამოყენებით. ანუ ფაქტობრივად ჩხრეკა უკვე მიმდინარეობდა. ამ დრომდე პოლიციას ჩემთვის არ განუმარტავს, რომ ჩხრეკა უნდა ჩატარებინათ კლუბში“.<sup>60</sup>

57 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.

58 იქვე, 120-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

59 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის N1გ-48 განჩინება, გვ. 2

60 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ გ.გ.-სთან (30.05.2018).

„ბასსიანის“ ერთ-ერთი თანამშრომელი აღნიშნავს, რომ პოლიციელები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ეუბნებოდნენ, რომ შეეძლოთ ჩხრეკას დასწრებოდნენ და ენახათ, რომ „რამე ისეთს არ აკეთებდნენ“. მისივე თქმით, ამ დროს „პოლიციელებს უკვე დაწყებული ჰქონდათ ჩხრეკა. ისინი ათვალისწინებდნენ კლუბს, ეძებდნენ რაღაცებს, ძირს დაგდებულ ნივთებს, ქაღალდებს ხსნიდნენ. ამასთან, პოლიციელებს უკვე მოვლილი ჰქონდათ კლუბის მთელი ტერიტორია, თანამშრომლები ვერ ვაკონტროლებდით მათ გადაადგილებას და იმას, თუ რას აკეთებდნენ ისინი კლუბში“.<sup>61</sup>

„ბასსიანის“ ერთ-ერთი თანამშრომელი აღნიშნავს, რომ პოლიციელებმა ის და კლუბის სხვა თანამშრომლები საწყობთან გააჩერეს, თუმცა თვითონ გადაადგილდებოდნენ კლუბის ტერიტორიაზე. „...დაახლოებით 40 წუთი იქნებოდა გასული, რაც ვიდექით საწყობთან და პოლიციის თანამშრომლები ჩვენ გარეშე გადაადგილდებოდნენ კლუბის ტერიტორიაზე, როდესაც პოლიციამ გვითხრა, რომ უნდა ჩაეტარებინათ ჩხრეკა საწყობში და შემოგვთავაზეს, რომ შეგვეძლო დავრჩენილიყავით ან თუ სურვილი გვქონდა წავსულიყავით... ჩვენ ჩხრეკაზე არ დავრჩით, რადგან მე ვერ ვიქნებოდი პასუხისმგებელი იმაზე, რასაც დავინახავდი ჩხრეკის დროს... ამასთან, როგორც აღვნიშნე, პოლიციელები უკვე დიდი ხნის განმავლობაში გადაადგილდებოდნენ კლუბში მარტო.“<sup>62</sup>

„საწყობის კედელთან ვიდექით დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. ამ პერიოდში ვხედავდი კედელს, რომელიც ფარავს „ბასსიანში“ ჩამოსასვლელს. აგრეთვე ვხედავდი პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც მობილური ტელეფონის განათებით ანათებდნენ ნაგვის ურნებში, კედლებში, თუ სადმე ღრიჭო იყო. პოლიციის თანამშრომლები ხელით ამონშებდნენ ყველა ადგილს, სადაც შეიძლებოდა რაიმეს დადება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჩხრეკას ატარებდნენ... პოლიციელების მიერ „ბასსიანის“ ჩრეკისას, რაც ზემოთ აღვნიშნე, მათ კლუბის რომელიმე თანამშრომელი არ დაყვებოდა და არ ამონშებდა/მეთვალყურეობდა პოლიციელების ქმედებას... ამის შემდეგ, სანამ გარეთ გავიდოდით, პოლიციამ გვითხრა, რომ ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ და ჩვენ უნდა დავსწრებოდით.“<sup>63</sup>

მსგავსი შინაარსის ინფორმაცია მიიწოდეს ანგარიშის ავტორებს კლუბის სხვა თანამშრომლებმაც. პოლიციელები ღამის კლუბებში შევიდნენ დაახლოებით 01:00 საათზე, ხოლო ჩხრეკის ოქმის თანახმად, საგამოძიებო მოქმედება დაიწყო 02:40 საათზე. თუმცა, როგორც აღვნიშნა, არაერთი ადამიანი მიუთითებს, რომ ჩხრეკა ფაქტობრივად დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს ოფიციალურად არის დაფიქსირებული ოქმში. აღვნიშნულ დოკუმენტში ასევე არ არის აღწერილი, რა ხდებოდა კლუბის ტერიტორიაზე 01:00-დან 02:40 საათამდე. ღამის კლუბში ჩხრეკის იმგვარად ჩატარება, რომ მას არ

61 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.თ.-სთან (22.05.2018).

62 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.მ.-სთან (18.05.2018).

63 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.ბ.-სთან (21.05.2018).



ესწრებოდა ამ კლუბის არცერთი წარმომადგენელი სრულად, მაშინ როცა შესაბამისი ადამიანები რეალურად ადგილზე იყვნენ, წარმომადგენს ცალსახა კანონდარღვევას და ეჭვქვეშ აყენებს სამართალდამცავთა ქმედებების ლეგიტიმურობას.

### 2.3.4. პირადი ჩხრეკები „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“

როგორც აღინიშნა, პირადი ჩხრეკის ჩატარება აგრეთვე საჭიროებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამ დროს გამომძიებელს, პროკურორს ან/და დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტი, რომელიც აღმოჩენილია:

- პირის ტანსაცმელზე;
- მის ხელთ არსებულ ნივთში ან სატრანსპორტო საშუალებაში;
- სხეულზე ან სხეულში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაუღწერებული ინფორმაციის თანახმად, „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“ მათ არცერთი მოქალაქე არ გაუჩხრეკიათ პირადად.<sup>64</sup> თუმცა, 12 მაისს აღნიშნულ ორ ღამის კლუბში მყოფი ადამიანების ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ კლუბების ტერიტორიაზე რამდენიმე პირი პირადადაც გაიჩხრეკა.

პირადი ჩხრეკა გულისხმობს მხოლოდ ფიზიკური პირის და მის სარგებლობაში არსებული ნივთის, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების ჩხრეკას. მასში არ მოიაზრება პირის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთი. ზოგადად, დასაშვებია ჩხრეკის ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა ამოსაღები ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე.<sup>65</sup>

12 მაისს ჩატარებული პირადი ჩხრეკების შემთხვევაში დარღვეულია როგორც მატერიალური, ისე ფორმალური კანონიერებაც: იმ პირობებში, როდესაც სასამართლო განჩინება საერთოდ არ შეიცავს მითითებას ამოსაღები ობიექტის თაობაზე, სამართლებრივად შეუძლებელია არსებობდეს ჩხრეკის ჩატარების და შესაბამისად, ჩხრეკის ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკის საფუძველი, რადგან თუ უცნობია რა ობიექტის ამოღება უნდა მოხდეს კონკრეტულ ადგილზე, შეუძლებელია დადგინდეს, რა უცნობი ობიექტი

64 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 01 ივნისის N MIA 7 18 01293927 წერილი.

65 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

შეიძლება დაემალა ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირს. ჩხრეკის ადგილზე მყოფი პირები, კერძოდ „ბასსიანის“ თანამშრომლები, მ.მ., დ.ქ., ჰ.ა., მ.თ. და თ.გ. აღნიშნავენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს მათი პირადი ჩხრეკა, თუმცა ამ ღონისძიების საფუძვლები პოლიციას მათთვის არ განუმარტავს.

„ბასსიანის“ თანამშრომელი მ.მ. აღნიშნავს, რომ „...ქალ პოლიციელს კვლავ დაუძახეს და უთხრეს, რომ ჩემი ჩანთა იყო გასაჩხრეკი. სანამ მას დაუძახებდნენ, პოლიციელები ერთმანეთში საუბრობდნენ, უკვე დაეწყოთ თუ არა ჩემი ჩხრეკა. ამ ქალმა გაჩხრიკა ჩემი ჩანთა. მან თვითონ ამოალაგა ყველაფერი, რაც ჩანთაში მქონდა. ჩემი ჩანთა დეტალურად შეამოწმეს, თუმცა რაიმე კანონსაწინააღმდეგო არ უპოვიათ. ჩემი ჩხრეკის დასრულების შემდეგ პოლიციელებმა გაჩხრიკეს“ დ.ქ.<sup>66</sup> იგივეს ადასტურებს დ.ქ.-ც, რომელიც მიუთითებს, რომ გაჩხრიკეს თვითონ და მ.მ., თუმცა მათი ჩხრეკისას რაიმე კანონსაწინააღმდეგო არ უნახავთ.<sup>67</sup>

„ბასსიანის“ ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირებიც საუბრობენ მათ პირად ჩხრეკაზე. „...გარეთ ვიღაცამ დაიძახა „შმონიო“, ხოლო ამ სპეცრაზმელებმა ჩვენ ამოგვალაგებინეს რაც კი გვქონდა ჭიბეებში და დაგვალაგებინეს მაგიდაზე. შემდეგ კი თავად ჩაგვიყვეს ჭიბეებში ხელი სამივე ჩვენგანს და შეამოწმეს რამე გვედო თუ არა ჭიბეში“.<sup>68</sup> იგივეს ადასტურებს ჰ.ა.-ც.<sup>69</sup> თ.გ. მიუთითებს, რომ პოლიციელებმა ჩანთიდან ამოალაგებინეს ყველაფერი და შეამოწმეს ეს საგნები.<sup>70</sup> „კაფე გალერიში“ მყოფი ერთ-ერთი პირი საუბრობს, რომ პოლიციელებს ჰქონდათ მისი ჩხრეკის მცდელობა, თუმცა ადვოკატის განმარტების შემდეგ აღარ გაჩხრიკეს. „პოლიციამ გადანწყვიტა, რომ გაეჩხრიკათ ჩემი ჩანთა, თუმცა ადვოკატმა განმარტა, რომ მათ ამის უფლება არ ჰქონდათ. გამომდინარე აღნიშნულიდან, მე პოლიციას არ მივეცი ჩემი ჩხრეკის საშუალება.“<sup>71</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ჩხრეკების თაობაზე არაფერია აღნიშნული კლუბების ჩხრეკის ოქმებში. აღნიშულზე არც ცალკე ოქმია შედგენილი, სადაც იქნებოდა აღწერილი, რა საფუძვლებით, პროცედურითა და მიზნებით გაიჩხრიკნენ 12 მაისს „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“ მყოფი კონკრეტული პირები. აღნიშნული კი მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს და არის შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების საფუძველი.

66 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.მ.-სთან (06.06.2018).

67 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ დ.ქ.-სთან (04.06.2018).

68 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.თ.-სთან (02.06.2018).

69 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ჰ.ა.-სთან (02.06.2018).

70 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ თ.გ.-სთან (04.06.2018).

71 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ თ.შ.-სთან (06.06.2018).

## 2.4. საპოლიციო ძალის პროპორციულობის შეფასება

ანგარიშის ეს ნაწილი აფასებს 12 მაისის საგამოძიებო მოქმედებებში გამოყენებული საპოლიციო ძალის, მათ შორის, შეიარაღებული სპეცრაზმის გამოყენების პროპორციულობას. შინაგან საქმეთა სამინისტრო 12 მაისის ღონისძიებების დროს გამოყენებულ ძალაზე საუბრისას, ყურადღებას ამახვილებს ორ ძირითად გარემოებაზე, კერძოდ, კლუბებში მყოფ პირთა რაოდენობასა და გასაჩხრევი ტერიტორიის მოცულობაზე. სამინისტროს ოფიციალური პოზიციის თანახმად, 12 მაისის ღონისძიებების დროს ღამის კლუბებში იმყოფებოდა ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი უამრავი ადამიანი, რომლებიც მათი სამიზნე არ ყოფილან. ამასთან, კლუბების ტერიტორია იყო საკმაოდ მოცულობითი და „ძალიან დიდ ტერიტორიაზე, ძალიან დიდ ფართობზე უნდა გაჩხრევილიყო.“<sup>72</sup>

შინაგან საქმეთა მინისტრი ყურადღებას აგრეთვე ამახვილებდა კლუბებში მყოფ ადამიანთა რაოდენობაზე. მან აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ არჩევანი ღონისძიების ჩატარების დროსთან დაკავშირებით, რაც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად პროგნოზირებადი იქნებოდა სხვადასხვა დროს ჩატარებულ ღონისძიებაზე ხალხის რეაქცია. „არჩევანი იყო მარტივი. ან ეს უნდა გავგვხორციელებინა გამოთენისას, 6-7 საათამდე, სადაც იქნებოდა მაქსიმალური რაოდენობა ხალხის და... ნაკლებად პროგნოზირებადი. პირველ შემთხვევაში ჩვენ პრობლემები გვექნებოდა ღონისძიების შემდეგ, რაც მოხდა, რაც აბსოლუტურად გააზრებული გვქონდა, მეორე შემთხვევაში – ღონისძიების მსვლელობის დროს“<sup>73</sup> – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

### 2.4.1. სპეცრაზმის გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი აქტ(ებ)ი, რაც არეგულირებს სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებას, არის სრულად გასაიდუმლოებული. შესაბამისად, უცნობია, რა სტანდარტით ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონკრეტულ შემთხვევებში სპეცრაზმის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამდენად, ანგარიშზე მუშაობის დროს შეუძლებელი გახდა იმის შეფასება, რამდენად თანხვედრაში იყო 12 მაისის სპეცრაზმის გამოყენება საქართველოში მოქმედ შესაბამის სამართლებრივ აქტებთან. აქტების გასაიდუმლოების გამო, ასევე შეუძლებელია მათი შეფასება მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

72 იხ. „ნათია მეგრისივილი სტუმრად გადაცემა „არჩევანში“: <https://www.facebook.com/MIAofGeorgia/videos/1400272110074784/> (ვიდეოს მე-8-9 წუთები), ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ივნისს.

73 იხ. „შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას გამოსვლა პარლამენტის პნელარულ სხდომაზე“, <https://www.facebook.com/MIAofGeorgia/videos/1402397793195549/>, (ვიდეოს 37-38-ე წუთები), ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ივნისს.

სამართლებრივი აქტის/ნორმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი უნდა იყოს მისი განჭვრეტადობა, როდესაც ნორმის ადრესატს შეუძლია განსაზღვროს, თუ რა სახისა და მოცულობის ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს მის მიმართ. ამასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა მოითხოვს, რომ ხელისუფლება მოქმედებდეს არა უბრალოდ მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების მიხედვით, არამედ თავად ეს აქტები შესაბამისობაში იყოს კონსტიტუციასთან და ადამიანის ძირითად უფლებებთან.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საიდუმლოებად და ამბობს, რომ იგი არის ქვეყნის თავდაცვის ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში არსებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და რომელიც ამ კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით წინასწარ დასაიდუმლოებულია ან მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოებად და სახელმწიფოს მიერ დაცვას ექვემდებარება.<sup>74</sup> გაუგებარია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დანაყოფის, სპეციალური დანიშნულების რაზმის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, სპეცრაზმის გამოყენების ზოგადი კრიტერიუმები და სამართლებრივი საფუძვლები რა საფრთხეს უქმნის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილ მიზნებს. ხსენებული აქტების სრულად გასაიდუმლოება არის მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მათზე კონტროლის განხორციელებას.

## 2.4.2. იძულების ღონისძიებების გამოყენება

საგამოძიებო მოქმედების (ამ შემთხვევაში, ჩხრეკის) ჩატარებისათვის წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება,<sup>75</sup> რაც პირდაპირ არის დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების პრინციპის დაცვით ჩატარებასთან. ძალის ნებისმიერი გამოყენება უნდა იყოს საგამონაკლისო.<sup>76</sup> მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ უზრუნველყოს სათანადო გარანტიები დარღვევის თავიდან ასაცილებლად.<sup>77</sup>

74 „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

75 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

76 Geneva Academy of International Humanitarian Law and Human Rights, „Use of Force in Law Enforcement and the Right to Life: The Role of the Human Rights Council“, Geneva, November 2016, p. 6, [https://www.geneva-academy.ch/joomlafiles-files/docman-files/in-brief6\\_WEB.pdf](https://www.geneva-academy.ch/joomlafiles-files/docman-files/in-brief6_WEB.pdf)

77 FUNKE v. FRANCE, #56 (no. 10828/84, 25.02.1993) – <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57809>

სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებისას თანაზომიერების შეფასების უმთავრესი ელემენტი მიზნის ლეგიტიმურობაა. 12 მაისს ჩატარებული ჩხრევის კანონიერების საკითხი ანგარიშში უკვე იყო განხილული, რამაც გამოკვეთა ამ საგამოძიებო მოქმედების მთელი რიგი სამართლებრივი პრობლემები. ისეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ უფლებების შემზღუდავ ქმედებებს არ გააჩნიათ სათანადო სამართლებრივი საფუძველი, შეუძლებელია ჩარევა იყოს თანაზომიერი. მიუხედავად ამისა, ანგარიშის ავტორები შეაფასებენ ჩხრევის დროს გამოყენებული ძალის პროპორციულობის საკითხს.

ანგარიშზე მუშაობისას გამოკითხული პირები, კლუბში სპეცრაზმის შესვლასთან დაკავშირებით აღნიშნავენ: „კლუბში შემოვარდნენ სპეცრაზმის წევრები, ერთმა მათგანმა მე იარაღი მომადო და ამგვარად გამწია გვერდზე, მეორე სპეცრაზმელმა ხელი მკრა, შედეგად მე წავბორძიკდი, წავიქეცი და რამდენიმემ გადამიარა ფეხზე, რომელიღაც პოლიციელმა ტანსაცმელზე მომკიდა ხელი, ამწია და გამაგდო გარეთ.“<sup>78</sup>

„მე ვამჩნევდი პოლიციის მხრიდან ცინიკურ და უხეშ დამოკიდებულებას ხალხის მიმართ... მათ რამდენიმე წუთი დასჭირდათ ხალხის გამოსაყრელად, რასაც ისინი იძულებით ახორციელებდნენ. იმ პერიოდში, რაც კლუბში შემოვარდნენ და გამოგვყარეს გარეთ, პოლიციელებს რაიმე განმარტება არ გაუკეთებიათ ჩემთვის და ამ პერიოდში მე არც ის გამიგია, რომ ვინმე სხვისთვის აეხსნათ, თუ რა ხდებოდა, რატომ შემოვარდნენ კლუბში, მათ არაფერი უთქვამთ ჩხრევის ჩატარებაზე და ა.შ.“<sup>79</sup> „ნიღბიანი სპეცრაზმელები ხალხის მისამართით ამბობდნენ, შეხედე ამათ რას გვანან, შეწყდა დისკოტეკა, ხვალ რას გააკეთებთო და ა.შ.“<sup>80</sup> „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ჩვენთვის არაფერი განუმარტავთ, ისე დაგვანვინეს იძულებით იატაკზე. აღნიშნული ფაქტი მე გავაპროტესტე, ვეკითხებოდი მათ თუ რატომ უნდა დავნოლილიყავი იატაკზე, რა დავაშავეთ, რის საფუძველზე იყვნენ გალერეში. ჩემს ამ პროტესტს და შეკითხვებს პოლიცია შეხვდა გაღიზიანებით და უხეშად, ყვირილით მომიწოდეს, რომ თავი ჩამეწია.“<sup>81</sup>

ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის გამოყენებული ძალის თანაზომიერება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოსადეგი და აუცილებელია მისი გამოყენება. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი რეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, თუმცა არსად არის მითითებული, ამ მიზნისთვის, რა ითვლება გამოსადეგ და აუცილებელ ძალის გამოყენებად. ამდენად, მიზანშეწონილია სხვა სამართლებრივი აქტების შინაარსის გაანალიზება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული საპოლიციო ძალის პროპორციულობის დადგენისთვის იქნება საჭირო.

78 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ნ.ქ.-სთან (18.05.2018). 79 იქვე.

80 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ თ.გ.-სთან (04.06.2018).

81 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ თ.შ.-სთან (07.06.2018).

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოსადეგია ქმედება, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.<sup>82</sup> მოცემულ შემთხვევაში, გამოსადეგობის ელემენტი დავას არ იწვევს, რადგან პოლიციელთა დიდი რაოდენობა, მათ შორის, სპეცრაზმელთა გამოყენება, შესაძლებელს ხდიდა მიზნის მიღწევას, რაც გამოიხატებოდა კლუბების ჩხრევაში.

რაც შეეხება აუცილებლობას, იგი გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, როდესაც ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ღონისძიების ადრესატს, ისე სხვა პირს.<sup>83</sup> ამ მხრივ, უნდა შეფასდეს, შეეძლო თუ არა შსს-ს გამოყენებინა სხვა, ნაკლებად შემზღვევლი და ინტენსიური საშუალებები, ღამის კლუბების ჩხრევისათვის. აღნიშნული საკითხის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ გარემოებაზე: ა) რამდენად შეეძლო სამართალდამცავ ორგანოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება სხვა დროს განხორციელებინა (ეს საკითხი ზემოთ ვრცლად არის მიმოხილული) და ბ) შეეძლო თუ არა შსს-ს მიზნის მიღწევა ნაკლებად ინტენსიური საპოლიციო ძალის გამოყენებით.

მინისტრის მოადგილე აღნიშნავდა, რომ კლუბში შევიდა 70 პოლიციელი, თუმცა ანგარიშის ავტორებს განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდეს კლუბში მყოფმა ადამიანებმა. „პოლიციელები, მათ შორის, სპეცრაზმელები, გამომძიებლები და სხვა, იქნებოდნენ დაახლოებით 100-150.“<sup>84</sup> ერთ-ერთი გამოკითხული პირი აღნიშნავს, რომ ღამის კლუბ „ბასსიანში“ 40-მდე მხოლოდ სპეცრაზმელი იყო.<sup>85</sup> კლუბებში სპეცდანიშნულების რაზმის შეიარაღებული წევრების ყოფნას ადასტურებს არაერთი ადამიანი.<sup>86</sup> „კაფე გალერიში“ მყოფი თვითმხილველი საუბრობს კლუბში მხოლოდ 30-მდე სპეცრაზმელის შესვლის თაობაზე.<sup>87</sup> „ბასსიანის“ ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც პოლიციის შესვლის დროს იმყოფებოდა კლუბის ძირითად შესასვლელთან მდებარე გარდერობთან, საუბრობს, რომ შეამჩნია 20-მდე სპეცრაზმელი, რომელთაც უკან მოყვებოდნენ პოლიციელები, რომელთა რაოდენობა „ბევრად აღემატებოდა სპეცრაზმელებისას“.<sup>88</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მოადგილის თქმით, კლუბებში პოლიციის თანამშომელთა ამ რაოდენობით<sup>89</sup> შესვლა განპირობებული იყო იმით, რომ დიდი მოცულო-

82 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

83 იქვე, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

84 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ გ.მ.-სთან (02.06.2018).

85 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ გ.გ.-სთან (30.05.2018).

86 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები თ.ა.ს-თან (21.05.2018), გ.გ.-სთან (30.05.2018), მ.თ.-სთან (02.06.2018), ბ.ბ.-სთან (21.05.2018), ნ.ქ.-სთან (18.05.2018), თ.შ.-სთან (08.06.2018), გ.გ.-სთან (06.06.2018) და სხვ. იხილეთ აგრეთვე: <https://imedinews.ge/ge/video/6329/basiansa-da-galerishi--ganvitarebuli-movlenebi> (ვიდეოს პირველი ნუთი), ბოლოს ნანახია 2018 წლის 30 ივნისს.

87 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ გ.გ.-სთან (06.06.2018).

88 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ დ.ქ.-სთან (04.06.2018).

89 კვლევის მიზნებისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი იყო ინფორმაცია 12 მაისს გამოყენებული ძალის თაობაზე, თუმცა სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ მოგვანოდა.



ბის ტერიტორია იყო გასაჩხრევი, „ბასსიანის“ ჩხრევის ოქმის თანახმად, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდა მხოლოდ 10 ადამიანი, აქედან 1 იყო ჩხრევაზე დამსწრე პირი, 4 – საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომელი და 5 კი – პოლიციელი. მაშასადამე, ჩხრევის ჩატარების მიზნებისთვის, ღამის კლუბებში სამართალდამცავთა ამ რაოდენობით შესვლა, არ იყო აუცილებელი.

რადგან უშუალოდ ჩხრევის პროცესში დიდი რაოდენობით პოლიციის გამოყენების საჭიროება არ დასტურდება, სამინისტროს პოზიცია შესაძლოა უკავშირდებოდეს კლუბებში მყოფი ადამიანების რაოდენობას. ამ მხრივ, უნდა შეფასდეს სამინისტროს მიერ გაჟღერებულ საფუძვლებთან მიმართებით, რამდენად აუცილებელი იყო ამ რაოდენობის პოლიციელების, მათ შორის, შეიარაღებული სპეცრაზმელების გამოყენება.

როდესაც გარკვეული ძალის გამოყენება არის საჭირო, არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ მინიმალურ ძალაზე უფრო მეტი, რაც კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არის მიზანშეწონილი და აუცილებელი.<sup>90</sup> შესაბამისად, როდესაც ღონისძიების დაწყებამდე ხდება გამოსაყენებელი ძალის განსაზღვრა, გათვალისწინებულ უნდა იყოს ყველა გარემოება, რასაც შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს ღონისძიების განხორციელებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოსაყენებელი ძალის განსაზღვრა, რაშიც მოიაზრება როგორც ღონისძიებაში ჩართულ პოლიციელთა რაოდენობა, აგრეთვე მათი აღჭურვილობა. მათ შორის, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალური დანაყოფის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხიც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელია კანონმდებლობის დონეზე არსებობდეს შესაბამისი გარანტიები, რომელიც შეზღუდავს სპეციალური ძალების გამოყენებას ისეთ სიტუაციებში, როდესაც პოლიციის ჩართულობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ინტერესების დაცვას.<sup>91</sup> იმისათვის, რომ 12 მაისის ღონისძიებებში გამოყენებული ყოფილიყო შეიარაღებული და ნიღბიანი სპეცრაზმელები, აუცილებელი იყო სათანადო საფუძვლების არსებობა, რაც მიუთითებდა, რომ პოლიციელები მხოლოდ საკუთარი ძალის გამოყენებით, სპეცრაზმელების დაშვარების გარეშე, ვერ შეძლებდნენ იმ მიზნის მიღწევას, რაზეც ყურადღებას ამახვილებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პოლიციელს, თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით, უფლება აქვს გამოიყენოს იძულების ღონისძიებები, რაც შეიძლება იყოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები

90 Geneva Academy of International Humanitarian Law and Human Rights, „Use of Force in Law Enforcement and the Right to Life: The Role of the Human Rights Council“, Geneva, November 2016, p. 7, [https://www.geneva-academy.ch/joomlaools-files/docman-files/in-brief6\\_WEB.pdf](https://www.geneva-academy.ch/joomlaools-files/docman-files/in-brief6_WEB.pdf)

91 Kucera v. Slovakia, (no 48666/99), §122, 17.10.2007 – <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Kucera%22%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%22itemid%22:%5B%22001-81731%22%22%7D>

და ცეცხლსასროლი იარაღი.<sup>92</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში იძულების ღონისძიებები გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ ინტენსივობით, რაც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.<sup>93</sup> იძულების ღონისძიების სახე და ინტენსივობა უნდა განისაზღვროს კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით.<sup>94</sup> შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც ძალის გამოყენებამდე, შსს-ს უნდა შეეფასებინა კონკრეტული საქმის გარემოებები, დაედგინა, რა შესაძლო ძალის გამოყენება იქნებოდა საჭირო ადგილზე და რა საფუძვლით და მხოლოდ ამის შემდეგ გამოეყენებინა შესაბამისი ძალა.

გასათვალისწინებელია, რომ საგამოძიებო მოქმედება იგეგმებოდა კლუბის ტერიტორიაზე, რომლის უსაფრთხოებასაც დაცვის სამსახური უზრუნველყოფს. კლუბის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, იკრძალება კლუბში ნებისმიერი ტიპის იარაღის შეტანა. კლუბში შესვლამდე კი იჩხრიკება კლუბის ყველა სტუმარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ იყო გამოკვეთილი და დასაბუთებული, რომ ღამის კლუბებში მყოფი პირები აპირებდნენ წინააღმდეგობის განწევას პოლიციელებისათვის, მით უმეტეს, იმგვარი შეიარაღებული წინააღმდეგობის, რაც საფრთხეს შეუქმნიდა პოლიციელთა უსაფრთხოებას. შეიარაღებული წინააღმდეგობის განწევა იმ პირთა მხრიდან, ვისაც იარაღი საერთოდ არა აქვს და კლუბში მისულია გასართობად, წარმოუდგენელია. შეიარაღებული ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც არ პირებენ ფიზიკური წინააღმდეგობის განწევას, ნიღბიანი სპეცრაზმელების გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ და საჭირო ზომად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემოთქმა გამოთქვა, როდესაც ხელისუფლებამ, სხვა საშუალებებთან ერთად, გამოიყენა ათობით შეიარაღებული და ნიღბიანი პოლიციის თანამშრომელი იმ პიროვნების დაკავებისას, რომლის მხრიდანაც რაიმე საფრთხე უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არ არსებობდა.<sup>95</sup>

თუკი შსს-მ სპეცრაზმი გამოიყენა იმ მოტივით, რომ უზრუნველყო საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის დაცვა, ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია, ამ მიზნისთვის რამდენად არსებობდა შეიარაღებული და ნიღბიანი სპეცრაზმის გამოყენების საჭიროება და რატომ ვერ შეძლებდა არა სპეცრაზმელი, არამედ სხვა პოლიციელი იმავე მიზნის მიღწევას. განტვრეტადი იყო ისიც, რომ ამ ტიპის საპოლიციო ძალის გამოყენებას კლუბებში შეკრებილ ადამიანებზე დამთრგუნველი ეფექტი ექნებოდა, რაც მოხდა კიდევ. კლუბში მყოფი პირები ანგარიშის ავტორებთან საუბარში აღნიშნავენ: „მათ დანახვაზე თავიდან გაუგებრობაში ვიყავი, ვერ ვხვდებოდი ვინ იყვნენ და რა ხდებოდა, შემდეგ, როდესაც გავაანალიზე, რომ შეიარაღებული სპეცრაზმელები და პოლიციელები იყვნენ, ძალიან შემეშინდა. ვიდრეც გაშეშებული... ხალხი იმდენად შოკში იყო, შეიძლება ითქვას,

92 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი.

93 იქვე, 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

94 იქვე, მე-4 პუნქტი.

95 Miroslaw Garlicki v. Poland, (no 36921/07) §75, 14.09.2011 – <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%7B%22Miroslaw%22,%7B%22languageisocode%22:%7B%22ENG%22,%7B%22documentcollectionid%22:%7B%22JUDGMENTS%22,%7B%22itemid%22:%7B%22001-105121%22%7D%7D>



რომ არც კი ინძრეოდნენ. სპეცრაზმელებს იარაღი ჰქონდათ ხალხისკენ მოშვერილი.<sup>96</sup> „პოლიციის შემოსვლიდან რამდენიმე წუთში სუფევდა სრული გაუგებრობა, ჩვენ ვერ მივხვდით თუ რა ხდებოდა.“<sup>97</sup> კიდევ ერთი პირი თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს: „შემოსვლისთანავე მათ ჰქონდათ მონოდება, რომ ყველანი დავნოლილიყავით იატაკზე, გაგვეთიშა მუსიკა და აგვენთო სინათლე. ჩვენ დავემორჩილეთ მათ მონოდებას და დავწექით იატაკზე, ხოლო შემდეგ მე წავედი შუქის ასანთებად. პოლიციის მხრიდან იყო რამდენიმე ფაქტი, როდესაც ისინი უხეშად მოეცნენ იქ მყოფ ადამიანებს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში ერთი ადამიანი გახდა ცუდად და მსურდა მისთვის მიმეწოდებინა წყალი, თუმცა მათ ამის საშუალება არ მომცეს.“<sup>98</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის განხილვისას აღნიშნავს, რომ პიროვნების მიმართ ისეთი კონკრეტული ფიზიკური ძალის გამოყენება, რაც მისი ქმედებების შესაბამისად, არ იყო აუცილებელი, ამცირებს ადამიანის ღირსებას და შეიძლება ჩაითვალოს ამ მუხლის დარღვევად.<sup>99</sup> პროპორციულობა გულისხმობს მოცემულობას, როდესაც სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა. თუ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა არ არის აუცილებელი კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის, აღნიშნული მიუთითებს მის არაპროპორციულობაზეც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.<sup>100</sup>

გემოთმოყვანილი ვერსიების განხილვა, კიდევ ერთხელ მიუთითებს 12 მაისის საპოლიციო ოპერაციაში სპეცრაზმის გამოყენების დაუსაბუთებლობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დრომდე, საკმარისი დასაბუთება ამ საკითხთან დაკავშირებით არ წარმოდგენია. ეს კი თავის მხრივ, აჩენს განცდას, რომ სპეცრაზმის და მასშტაბური საპოლიციო ძალის გამოყენებისას, სახელმწიფოს მიზანი რეპრესიული აპარატის და სახელმწიფო ინსტიტუტების „ეფექტური“ ფუნქციონირების დემონსტრირება იყო. ამ საკითხთან მიმართებით კიდევ ერთხელ უნდა გავსვას ხაზი იმ კონტექსტს, რაც 12 მაისის მოვლენებამდე არსებობდა. ეს კონტექსტი ნათლად მიუთითებდა ნარკოპოლიტიკის საკითხის მკვეთრ პოლიტიზირებაზე და ამ თემით პოლიტიკური ჯგუფების მანიპულირებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ძალის დემონსტრირება მიმართული იყო ფართო საზოგადოებისკენ იმისთვის, რომ სამართალდამცავი ორგანო წარმოჩენილიყო, როგორც დანაშაულთან შეურიგებელი მეზრძოლი.

96 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ თ.ა.-სთან (21.05.2018).

97 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.მ.-სთან (06.06.2018).

98 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ს.ბ.-სთან (07.06.2018).

99 Rachwalski and Ferenc v. Poland, (no 47709/99) §59, 28.10.2009 – <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22CASE%20OF%20RACHWALSKI%20AND%20FERENC%20v.%20POLAND%22%22%5D,%22languageisocode%22:%5B%22ENG%22%22,%22documentcollectionid%22:%5B%22JUDGMENTS%22%22%5D,%22itemid%22:%5B%22001-93690%22%5D%7D>

100 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.

## 3. 12 მაისს მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა

### 3.1. სპონტანური აქციის ორგანიზება კლუბ „ბასსიანთან“

12 მაისს, ღამის კლუბ „ბასსიანში“ მიმდინარე საგამოძიებო ღონისძიებების პარალელურად, კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეებს მშვიდობიანი სპონტანური აქციის გამართვის მცდელობა ჰქონდათ. შეკრებილი ადამიანების ნაწილი იყვნენ როგორც უშუალოდ „ბასსიანიდან“ იძულებით გამოსული სტუმრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც მოგვიანებით შეუერთდნენ მათ სოლიდარობის გამოხატვისთვის.<sup>101</sup>

კლუბ „ბასსიანში“ პოლიციის დანაყოფები, 12 მაისს, ღამის 01:00 საათისთვის შევიდნენ და ამ დროიდან მოყოლებული, მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეთა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა. დაახლოებით ღამის 02:00 საათისთვის, „თეთრი ხმაურის მოძრაობამ“ სოციალურ ქსელში გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომლითაც მოსახლეობას მოუწოდებდა კლუბთან მისვლისკენ და კლუბის მიმართ სოლიდარობის გამოხატვისკენ.<sup>102</sup> აღსანიშნავია, რომ განცხადების გავრცელების მომენტისთვის, სამართალდამცავებს რამდენიმე პირი უკვე დაკავებული ჰყავდათ კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„თეთრი ხმაურის“ აქტივისტის, დავით სუბელიანის თქმით, თბილისის ღამის კლუბებში სპეცრაზმის შესვლის თაობაზე მან ინტერნეტის საშუალებით შეიტყო და ის დაუყოვნებლივ გაემართა კლუბ „ბასსიანთან“, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიეღო მიმდინარე მოვლენებზე. ის დაახლოებით ღამის 2 საათისთვის მივიდა ადგილზე, რა დროსაც კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე საკმაოდ ბევრი ხალხი იყო შეკრებილი რამდენიმე ჯგუფად, რომლებსაც ასევე დიდი რაოდენობით მობილიზებული პოლიცია არ აძლევდა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას. მისი შეფასებით, ამ დროისათვის ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო და გარეთ მყოფ ხალხში შეინიშნებოდა მღელვარება. ისინი ითხოვდნენ სამართალდამცავებისგან განმარტებას, რა გახდა კლუბში შესვლის საფუძველი.<sup>103</sup>

შემთხვევის ადგილზე სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ მომზადებულ ვიდეო მასალაში ნათლად ჩანს, რომ კლუბ „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდ-

101 <https://on.ge/story/22387-რა-მოხდა-კლუბ-ბასსიანთან-და-კაფე-გალერისთან-12-მაისის-დეტალები-მოკლედ>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

102 იხ. მოძრაობის განცხადება შემდეგ მისამართზე: <https://www.facebook.com/WNmovement/posts/2018665145050196>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 17 ივნისს.

103 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ დ.ს-სთან, თბილისი, 25.05.2018.

ში 500-დან 1000-მდე პირი იყო შეკრებილი,<sup>104</sup> რომლებიც სპონტანურად გამოხატავდნენ პროტესტს პოლიციის ქმედებებზე და აგრეთვე ითხოვდნენ მათგან განმარტებებს, რა გახდა ღამის კლუბებში სამართალდამცავების შესვლის საფუძველი.<sup>105</sup> იგივეს ადასტურებენ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტებიც. სატელევიზიო სიუჟეტებიდან და ადგილზე მყოფი პირების ახსნა-განმარტებებიდან აგრეთვე იკვთება, რომ სამართალდამცავები მათ კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთად დგომის შესაძლებლობას არ აძლევდნენ და აიძულებდნენ, გადასულიყვნენ გზის მოპირდაპირე მხარეს არსებულ ტროტუარზე [აკაკი წერეთლის ძეგლის მიმდებარედ].<sup>106</sup>

კლუბ „ბასსიანთან“ შეკრებილი ადამიანების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეების დიდი ნაწილი იძულებით გადაიყვანეს კლუბის მოპირდაპირე მხარეს, წერეთლის გამზირზე არსებულ ტროტუარებზე.<sup>107</sup> შესაბამისად, დაახლოებით ღამის 02:30-დან დემონსტრანტები ორ ჯგუფად აგრძელებდნენ პროტესტის გამოხატვას, ამ პერიოდში კი პოლიციის ეკიპაჟებსა და სამართალდამცავების კორდონს დაკავებული ჰქონდათ როგორც ტროტუარების ნაწილი, ისე სამანქანო გზის ერთი ზოლი.<sup>108</sup> მოგვიანებით, დაახლოებით 3:00-დან სამართალდამცავებმა დაიწყეს წერეთლის გამზირის მეორე მხარეს (აკაკი წერეთლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიიდან) მყოფი დემონსტრანტების ფიზიკური შევიწროვება და მათი ასევე ორ ჯგუფად გაყოფა კორდონით, ხოლო 3:30 წუთისთვის უკვე მათ მთლიანად გაათავისუფლეს დემონსტრანტებისგან „ბასსიანის“ მიმდებარე გზის ტროტუარები ორივე მხარეს.<sup>109</sup>

ამ პროცესში, კერძოდ, როდესაც პოლიციამ დაიწყო კლუბ „ბასსიანის“ მოპირდაპირე მხარეს, წერეთლის გამზირის ტროტუარზე მყოფი მოქალაქეების შევიწროვება და მათი ორ ჯგუფად გაყოფა, რამდენჯერმე დაიძაბა ვითარება მოქალაქეებსა და სამართალდამცავებს შორის. აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ბექა ნიქარიშვილი, ამ დროს, ხმის გამაძლიერებელით მოუწოდებდა პოლიციას, განემარტათ, რა მიზანს ემსახურებოდა დემონსტრანტების ფიზიკური შევიწროვება. ნიქარიშვილი ასევე ითხოვდა ადგილზე მყოფი საპოლიციო დანაყოფების ხელმძღვანელობასთან გასაუბრებას, იმისთვის, რომ განეხილათ მშვიდობიანი

104 კლუბ „ბასსიანის“ ინფორმაციით, აღნიშნულ საღამოს გასამართ ღონისძიებაზე ინტერნეტის საშუალებით წინასწარ გაყიდული იყო 350 ბილეთი. კლუბის ინფორმაციით, მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე, წინასწარ გაყიდული ბილეთების რაოდენობას ორჯერ აღარბებს ხოლმე „კარზე“, უშუალოდ კლუბის საღაროებში, გაყიდული ბილეთების რაოდენობა. შესაბამისად, „ბასსიანის“ ინფორმაციით, აღნიშნულ ღონისძიებაზე 1,000-მდე სტუმარი აპირებდა დასწრებას.

105 იხ. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 12 მაისის პირდაპირი რეპორტაჟი ღამის კლუბ „ბასსიანიდან“: <https://www.facebook.com/rustavi2/videos/1966415443402531/>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

106 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები დ.ს.სთან, თბილისი, 25.05.2018 და მ.მ.სთან, თბილისი 06.06.2018.

107 იხ. მედია-საშუალება On.ge-ის 12 მაისის პირდაპირი რეპორტაჟი ღამის კლუბ „ბასსიანიდან“: <https://www.facebook.com/news.on.ge/videos/1791499370901427/?t=84>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

108 იხ. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 12 მაისის პირდაპირი რეპორტაჟი ღამის კლუბ „ბასსიანიდან“: <https://www.facebook.com/rustavi2/videos/1966415443402531/> (ვიდეოს 49-ე წუთი), ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

109 იხ. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 12 მაისის პირდაპირი რეპორტაჟი ღამის კლუბ „ბასსიანიდან“: <https://www.facebook.com/rustavi2/videos/1966415443402531/> (ვიდეოს 1:13-ე წუთი), ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

მანიფესტაციის გაგრძელების საკითხი.<sup>110</sup> აღნიშნულ მონოდებებზე პოლიციას რეაგირება არ მოუხდენია და კვლავაც აგრძელებდა დემონსტრანტების პოლიციის კორდონით შევიწროვებას. ამის შემდეგ, ბეჟა ნიქარიშვილმა და სხვა პირებმა დაიწყეს ხალხის ორგანიზება, რათა წერეთლის გამზირიდან გადასულიყვნენ პარლამენტის შენობასთან, რუსთაველის გამზირზე. სწორედ ამ პროცესებში, პოლიციელებმა დააკავეს ბეჟა ნიქარიშვილი, რომლის განმარტებითაც ის პოლიციამ უბრალოდ ხალხისგან იზოლაციაში მოაქცია კორდონით და შემდეგ ყოველგვარი განმარტების გარეშე დააკავა.<sup>111</sup>

აკაკი წერეთლის გამზირზე მყოფმა პირებმა ტერიტორია ქაოსურად, პოლიციის იძულებით დატოვეს და ისინი რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავიდნენ. პარლამენტის შენობამდე მოქალაქეებს სამართალდამცავების მხრიდან რაიმე პრობლემები არ შექმნიათ, თუმცა მათი ადგილზე მისვლის შემდეგ რამდენჯერმე კვლავ დაიძაბა ვითარება. როგორც წესი, ამის მიზეზი ხდებოდა პოლიციის მხრიდან კორდონების გაკეთება და დემონსტრანტების შევიწროება, რა დროსაც ისინი მოქცეულები იყვნენ მცირე სივრცეში.<sup>112</sup> პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა ასევე დააკავეს რამდენიმე მოქალაქე, მათ შორის პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ლიდერი, ზურა ჭაფარიძე,<sup>113</sup> რომელიც თბილისის მერიის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ, მედია-საშუალებებთან აკეთებდა განმარტებებს მიმდინარე მოვლენებზე.

## 3.2. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მნიშვნელობა და 12 მაისის შეკრების ბუნება

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სრულყოფილი რეალიზაცია დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ როგორც ცალკეულმა პირებმა, ისე პირთა ჯგუფებმა. მშვიდობიანი შეკრების უფლება აღიარებულია დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტად. ამ უფლების თავისუფლება ხელს უწყობს დიალოგს როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, ასევე მათ დიალოგს პოლიტიკურ ლიდერებთან და ხელისუფლებასთან.“<sup>114</sup> აღნიშნულ უფლებას-

110 იხ. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 12 მაისის პირდაპირი რეპორტაჟი ლამის კლუბ „ბასსიანიდან“: <https://www.facebook.com/rustavi2/videos/1966415443402531/> (ვიდეოს 1:07-ე წუთი), ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

111 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ბ.წ.-სთან, თბილისი, 25.05.2018.

112 იხ. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 12 მაისის პირდაპირი რეპორტაჟი ლამის კლუბ „ბასსიანიდან“: <https://www.facebook.com/rustavi2/videos/1966415443402531/> (ვიდეოს 2:20-ე წუთი), ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

113 იხ. ზურა ჭაფარიძის დაკავების კადრები შემდეგ მისამართზე: <https://www.facebook.com/netgazeti/videos/10156615928377044/>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

114 Guidelines on Freedom of Peaceful Assembly – Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.7

თან მიმართებით სახელმწიფოს გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფო არა თუ არ უნდა ჩაერიოს ამ უფლების განხორციელებაში, არამედ ხელი უნდა შეუწყოს მის სრულფასოვან განხორციელებას.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კონსტიტუცია ასევე ადგენს, რომ კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუკი შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა, თუკი ის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს მიიღებს.<sup>115</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იძლევა საკმაოდ ამომწურავ განმარტებას აღნიშნული უფლების შინაარსის შესახებ. სასამართლო შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებას გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში განიხილავს და შესაბამისად, დაახლოებით მსგავს ფუნქციებს აკისრებს სახელმწიფოს ამ უფლების დაცვის თვალსაზრისით.<sup>116</sup> შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება ინსტრუმენტული ხასიათის უფლებად განიხილება, რომელიც პირს აძლევს შესაძლებლობას, მის მიერ შერჩეული ფორმებით და საშუალებებით გამოხატოს გრძნობები და შეხედულებები.<sup>117</sup>

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშემყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით; ხოლო – „მანიფესტაცია“ – მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით.<sup>118</sup>

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მართალია, ძალიან მნიშვნელოვან თავისუფლებას წარმოადგენს, მაგრამ ცხადია, იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის. ეს ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ლეგიტიმური საფუძვლების არსებობისას. შეზღუდვის მიზანია, შეკრების თავისუფლების

115 საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი.

116 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.6;

117 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები \_ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.11.

118 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.



განხორციელებისათვის, გარე სამყაროსთან შეხების გამო ორგანიზაციულ და პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულირების საჭიროება, რათა ერთი მხრივ თავისუფლების განხორციელების რეალური წინაპირობები შეიქმნას, ხოლო მეორე მხრივ, სხვათა ინტერესები იქნეს დაცული. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს პროპორციულობის პრინციპის მკაცრი დაცვით.

საქართველოს კონსტიტუციით დაცულია როგორც წინასწარ დაგეგმილი, ისე სპონტანური შეკრებები და მანიფესტაციები, თუმცა, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი სპეციალური წესით არ არეგულირებს სპონტანურ აქციებს და მათზეც ვრცელდება ზოგადი პროცედურული წესრიგი, მათ შორის წინასწარი შეტყობინების ნაწილშიც. ვენეციის კომისია საბოლოო დასკვნაში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს დადებითად აფასებს. მიუხედავად ამისა „კვლავ რჩება მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ სპონტანური შეკრებების გამართვის შეუძლებლობა, რომლითაც ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს.“<sup>119</sup>

ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ იგივე დასკვნაში სპონტანურ შეკრებად განმარტებულია რაიმე შემთხვევის, ინციდენტის თუ სხვა შეკრებისა ან/და გამოსვლის საპასუხოდ ორგანიზებული შეკრება/მანიფესტაცია, რომლის ორგანიზატორიც ბუნებრივად იყო მოკლებული შესაძლებლობას, კანონით დადგენილ ვადაში განეხორციელებინა წინასწარი შეტყობინება, ან როდესაც ასეთ შეკრებას საერთოდ არ ჰყავს ორგანიზატორი. მსგავსი ტიპის შეკრებები დემოკრატიული საზოგადოებებისთვის უცხო არაა და მათი ჩატარების შესაძლებლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან შეკრების გადადებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დაასუსტოს მისგან მომდინარე/მისი ორგანიზატორების მიერ გასაუფრებელი მესიჯი.<sup>120</sup>

სპონტანური აქციების შემთხვევაში ორი საკითხი საჭიროებს დამატებით განამრტებას: ა) შეიძლება თუ არა სპონტანურ შეკრებას საერთოდ არ ჰყავდეს ორგანიზატორი და ბ) რამდენად უნდა გავრცელდეს ასეთი ტიპის აქციებზე წინასწარ შეტყობინების ვალდებულება. ბუნებრივია, ისევე როგორც წინასწარ დაგეგმილ, სპონტანური შეკრებასაც შესაძლოა ჰყავდეს ერთი, ან რამდენიმე ორგანიზატორი. თუმცა, თანამედროვე საზოგადოებებში, როდესაც იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა და მარტივდება კომუნიკაცია კერძო მოქალაქეებს შორის (იქნება ეს სატელეფონო საუბრები, ტექსტური შეტყობინებები, ინტერნეტი და ა.შ.), სრულებით შესაძლებელია, სპონტანური შეკრება განხორციელდეს ორგანიზატორების გარეშე. ხოლო ის ფაქტი, რომ

119 Final Opinion On The Amendments To The Law On Assembly And Manifestations Of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011) – Opinion no.547/2009, CDL-AD(2011)029 –Strasbourg, 17 October, 2011; pg 10

120 Final Opinion On The Amendments To The Law On Assembly And Manifestations Of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011) – Opinion no.547/2009, CDL-AD(2011)029 –Strasbourg, 17 October, 2011; par. 126



მაგალითად სატელეფონო კომუნიკაციით მოქალაქეები ერთმანეთს მოუწოდებენ კონკრეტულ ტერიტორიაზე მისვლისკენ, თავისთავად ვერ შეფასდება ორგანიზატორობად.<sup>121</sup>

რაც შეეხება წინასწარ შეტყობინებას, ვენეციის კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სპონტანური შეკრებების დროს ეროვნული კანონმდებლობები უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ გამონაკლისებს ზოგადად შეტყობინების თაობაზე, ანდაც აწესებდეს სპეციფიკურ, უფრო მოკლე ვადებს წინასწარი შეტყობინების გასაკეთებლად.<sup>122</sup> როგორც აღინიშნა, ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა რაიმე სპეციალურ წესს არ შეიცავს, რაც ცალსახად შეიძლება შეფასდეს პრობლემად.

როგორც აღინიშნა, 12 მაისს ღამის კლუბ „ბასსიანთან“ მიმდინარე შეკრება იყო მშვიდობიანი ხასიათის, რა დროსაც აქციის მონაწილეები სოლიდარობას უცხადებდნენ ღამის კლუბებს და აპროტესტებდნენ იქ პოლიციის შესვლას. კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ პირებს არ ჰქონიათ რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნები. აგრეთვე ცალსახაა, რომ აღნიშნული აქცია იყო სპონტანურად ორგანიზებული, რადგან ის წარმოადგენდა კლუბში განხორციელებულ მოულოდნელ საპოლიციო ღონისძიებაზე მყისიერ რეაქციას.

აქციის მშვიდობიანი ხასიათის დადგენის შემთხვევაში, სახელმწიფო შებოჭილია ყველა იმ ვალდებულებით, რომელსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შეკრების თავისუფლებასთან მიმართებით ითვალისწინებს.<sup>123</sup> გასათვალისწინებელია, რომ ძალადობრივად არ მიიჩნევა აქცია იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი ცალკეული მონაწილეები სჩადიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, ან არ ემორჩილებიან პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.<sup>124</sup> ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ზოგადად აქციის მიზანსა და მის ხასიათზე. აქცია მითუმეტეს არ იღებს კანონსაწინააღმდეგო ხასიათს და პოლიციას არ წარმოეშობა მისი დაშლის საფუძველი, თუკი მისი ცალკეული მონაწილეების აგრესიული ქცევა იყო პასუხი პოლიციის მხრიდან გამოყენებულ არაპროპორციულ/დაუსაბუთებელ ძალაზე.<sup>125</sup>

სპონტანური აქციების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში წინასწარი გაფრთხილება აქციის ორგანიზატორების მიერ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ როგორც წესი, წინასწარი

121 Final Opinion On The Amendments To The Law On Assembly And Manifestations Of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011) – Opinion no.547/2009, CDL-AD(2011)029 –Strasbourg, 17 October, 2011; par. 127

122 Final Opinion On The Amendments To The Law On Assembly And Manifestations Of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011) – Opinion no.547/2009, CDL-AD(2011)029 –Strasbourg, 17 October, 2011; par. 128

123 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ანგარიში – 26 მაისი, 2011 წ. გვ. 32

124 იქვე, გვ. 28.

125 იქვე, გვ. 28.

შეტყობინების პროცედურა არ წარმოადგენს შეკრების თავისუფლების ხელყოფის საშუალებას. იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებული გარემოებების გამო საჭიროა საზოგადოების მხრიდან დაუყოვნებლივი და დროული რეაგირება, აქციის შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა წინასწარი შეტყობინება, წარმოადგენს შეკრების თავისუფლებაში ჩარევის არაპროპორციულ შეზღუდვას, თუკი აქციის მონაწილეების მხრიდან რაიმე უკანონო მოქმედებას არ ჰქონდა ადგილი.<sup>126</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით, შეკრება ორი ძირითადი მიზეზით შეიძლება არ მოექცეს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ სფეროში: ა) თუკი აქცია არის ძალადობრივი ხასიათის/შინაარსის; ბ) თუკი იგი არ ემსახურება კონკრეტულ იდეას.<sup>127</sup> არც ერთი აღნიშნული გარემოება ამ შემთხვევაში რელევანტური არ არის, რადგან როგორც აღინიშნა, შეკრება იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი ხასიათის, მასზე ჟღერდებოდა ასევე მშვიდობიანი მოთხოვნები და შეკრებას ჰქონდა კონკრეტული იდეები – სოლიდარობის გამოხატვა თბილისის ღამის კლუბების მიმართ და საპოლიციო ძალის დემონსტრირების გაპროტესტება.

### 3.3. 12 მაისის მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლის შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ხელისუფლების მიერ შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტას, თუ მან კანონსწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ეს არის ერთადერთი საფუძველი, რომლითაც შესაძლოა აქცია შეწყდეს.<sup>128</sup> ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ შემოიტანა პროპორციულობის კრიტერიუმიც, რომელიც სახელმწიფომ აქციის დაშლისას უნდა გამოიყენოს: „...ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ უფლებებში ჩარევა არა მხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევისათვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოებისათვისაც უნდა იყოს აუცილებელი. ამდენად, შეკრების აკრძალვა ან ძალისმიერი დაშლა არის უკიდურესი საშუალება მას შემდეგ, რაც სხვა ნაკლებად მკაცრი საშუალებების გამოყენებამ შედეგი ვერ გამოიღო.“<sup>129</sup>

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს შეკრების შეწყვეტის, ან მისი არჩაბარების საფუძვლებს. კერძოდ, შეკრება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, თუკი მისი მონაწილეები მასიურად ახორციელებენ

126 *Butka and others v Hungary*, Judgment of the ECHR of 17 July, 2007, para 36.

127 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, 2013 წ. გვ. 319

128 იქვე, გვ. 350

129 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება, პ.10;

მონოდებებს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ, აკეთებენ ომის თუ ძალადობის პროპაგანდას, აღვივებენ ეროვნულ, კუთხურ, თუ სხვა ნიშნით შულს. ანდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეკრების მონაწილეები ფლობენ ცეცხლსასროლ იარაღს, ფეთქებად, ადვილად აალებად ნივთიერებას ან ცივ იარაღს, ან ისეთ ნივთიერებებს/საგნებს, რაც სახიფათოა აქციის მონაწილეთა თუ სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის; ან თუკი ეს ნივთიერებები არის მომწამვლელი, ცრემლმდენი, ანდა ნერვულ პარალიტიკური მოქმედების.<sup>130</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ჩამოთვლილი გარემოებები შეკრების დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს. თუმცა, ამ შემთხვევაში არცერთი მათგანი რელევანტური არ არის. 12 მაისის აქციაზე არ გაჟღერებულა ძალადობრივი ან კანონის საწინააღმდეგო მოთხოვნები, შეკრების მონაწილეები არ ფლობდნენ კანონით აკრძალულ ნივთებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქციის ცალკეული მონაწილეების მხრიდან ადგილი ექნებოდა მსგავსი ტიპის დარღვევებს, ამ შემთხვევაში, პოლიციას ჰქონდა ვალდებულება, ორგანიზატორებისთვის მიეცათ 15 წუთი დარღვევების აღმოსაფრხვრელად, მათ შორის საჯარო მონოდებების გზით.<sup>131</sup>

კიდევ ერთი განსახილველი საკითხი შეიძლება იყოს შეკრების დროს ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივი ან სრული დაკავება აქციის მონაწილეების მხრიდან. სპონტანური აქციისა და დემონსტრანტების მიერ ქუჩის შესაძლო გადაკეტვის საკითხზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს: „საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას სპონტანური საპროტესტო მანიფესტაციის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეუფერხებლად ჩატარების უფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქციის მონაწილენი ახორციელებენ ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილის დაკავებას ან მის გადაკეტვას, აფერხებენ მოძრაობას.“<sup>132</sup> ამავდროულად, ზოგადად ქუჩის გადაკეტვასთან დაკავშირებით სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავს ქუჩის გადაკეტვის უფლებას, თუ იგი პირდაპირ უკავშირდება აქციის ფორმასა (მაგ. მონაწილეები ფეხით სავალ ნაწილზე ვერ ეტევიან) და შინაარსს (პროტესტის შინაარსის გადმოცემას წორედ ქუჩის გადაკეტვის – ამ ინსტრუმენტის – მეშვეობით ხდება).<sup>133</sup>

130 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

131 იქვე, მე-2 პუნქტი.

132 საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის #4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.11.3.

133 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, 2013 წ. გვ. 319

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეუძლია მიიღოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის გადაწყვეტილება, თუკი შეკრების მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია.<sup>134</sup> კანონმდებლობის ანალიზი ასევე მიუთითებს, რომ თუკი შეკრების მონაწილეთა რაოდენობა ბუნებრივად არ საჭიროებს გზის გადაკვეტას, აქციის ორგანიზატორებს უნდა მიეცეთ 15 წუთი, რათა მონაწილეებს მოუწოდონ გზის გათავისუფლებისკენ.<sup>135</sup>

12 მაისის აქციის მონაწილეების არაერთი ახსნა-განმარტებიდან იკვეთება, რომ მათი მიზანი არ ყოფილა სამანქანო გზის დაკავება და ისინი მუდმივად ცდილობდნენ პოლიციასთან კომუნიკაციის დამყარებას, მათ შორის, აქციაზე მყოფი ხალხის მასის კონტროლის მიზნით, თუმცა სამართალდამცავების მხრიდან მათ მცდელობებს არავითარი რეაგირება არ ჰქონია.<sup>136</sup> აქციის მონაწილეების ახსნა-განმარტებები და შემთხვევის ადგილიდან ლაივ-რეჟიმში ჩანერილი ვიდეო-სიუჟეტები ასევე ცხადყოფს, რომ 12 მაისის ღამეს „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს 500-დან 1000 ადამიანამდე იყო შეკრებილი, რომლებიც ტროტუარების მოკლე მონაკვეთებში განლაგებას ვერ მოახერხებდნენ.<sup>137</sup> ამის მიუხედავად, აქციის მსვლელობისას ადგილი არ ქონია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ორგანიზებულად დაკავების მოწოდებას ან მცელობას.

ამის მიუხედავად, ხალხის რაოდენობის ზრდის პირობებში, პოლიციამ ჯერ აიძულა შეკრების მონაწილეები, კლუბ „ბასსიანის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტროტუარზე გადასულიყვნენ, შემდეგ უკვე მოპირდაპირე მხარეს არსებული ტროტუარზე დაიწყო აქციის მონაწილეთა დაყოფა პოლიციის კორდონებით და მათ ეტაპობრივად დაატოვებინა კლუბის მიმდებარე ტერიტორია, რამაც საბოლოო ჯამში აქციის მონაწილეთა ნების სანინაალმდევოდ აქციის შეწყვეტა გამოიწვია.

პოლიციის მხრიდან 12 მაისის მშვიდობიანი აქციის დაშლის გადაწყვეტილების შეფასებისთვის დამატებით მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის მოთხოვნებთან კავშირში გაანალიზდეს, რა ლეგიტიმური მიზნის და ინტერესის დაცვისთვის შეეძლო მიეღო პოლიციას აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილება და რამდენად არსებობდა 12 მაისის მსგავსი ლეგიტიმური ინტერესი.

134 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-111 მუხლის 1-ელი პუნქტი.

135 იქვე, მე-3 პუნქტი.

136 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები დ.-ს.-სთან, თბილისი, 28.05.2018, ბ.ნ.-სთან, თბილისი, 25.05.2018 და ზ.ჭ.-სთან, თბილისი, 29.05.2018.

137 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები ბაჩი ფოცხვერაშვილთან, თბილისი, 18.05.2018, მედეა მამალაძესთან, თბილისი, 06.06.2018, ნუკრი ქარდავასთან, თბილისი, 18.05.2018. აგრეთვე, მედია-რეპორტაჟები შემთხვევის ადგილიდან: <https://www.facebook.com/rustavi2/videos/1966415443402531/>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს, <https://www.facebook.com/news.on.ge/videos/1791499370901427/?t=84>, ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

12 მაისს, სამართალდამცავთა უპირველეს მიზანი ღამის კლუბ „ბასსიანში“ მიმდინარე საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარება და მათთვის ხელის შეშლის თავიდან აცილება შეიძლება ყოფილიყო. ამ მიზნით, პოლიციამ კლუბის ყველა სტუმარს დაუყოვნებლივ დაატოვებინა კლუბის შიდა ტერიტორია, რა დროსაც მათ მოქალაქეების მხრიდან მინიმალური წინააღმდეგობაც კი არ ჰქონიათ. პოლიცია საგამოძიებო ღონისძიებებს ატარებდა მხოლოდ კლუბის შიდა ტერიტორიაზე, მის მიმდებარედ კი რაიმე საგამოძიებო ინტერესი არ არსებობდა.<sup>138</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ბასსიანის“ მიმდებარე ადგილები მთლიანად იზოლირებული ჰქონდა პოლიციას. მესამე პირებისგან ასევე თავისუფალი იყო კლუბის გარე შესასვლელიც.<sup>139</sup> ღამის კლუბის ტერიტორია (როგორც უშუალოდ კლუბის შიდა ტერიტორია, ისე მისი შესასვლელი) გარეთ მყოფი დემონსტრანტებისგან გამიჯნული იყო დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლის ღობით, რომელზე გადასვლის მინიმალური მცდელობაც კი არ ჰქონდათ მოქალაქეებს. შესაბამისად, კლუბში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებები ვერ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ მიეცათ გარეთ მყოფ მოქალაქეებს მშვიდობიანი პროტესტის თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობა.

სამართალდამცავების მოქმედების მიზანი შესაძლოა ყოფილიყო მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება და ასევე, სატრანსპორტო გზებზე ავტომობილების მოძრაობის უზრუნველყოფა. როგორც აღინიშნა, აქციის მონაწილეების მონოდებები და ქცევა საფრთხეს არ უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს, არ ქმნიდა ძალადობის ან არეულობის საფრთხეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქციის ცალკეული მონაწილეების მხრიდან ადგილი ექნებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს და მათ არ ექნებოდათ მასობრივი/ორგანიზებული ხასიათი, პოლიციას უნდა ემოქმედა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით განსაზღვრული პროცედურით, როდესაც ორგანიზატორებს ეძლევათ 15 წუთი დარღვევის აღმოსაფხვრელად. აქვე უნდა ითქვას, რომ ანგარიშის ავტორებისთვის ცნობილი არ გამხდარა არცერთი ფაქტის შესახებ, როდესაც პოლიციამ დაიწყო საქმის წარმოება აქციის მონაწილეთა მიმართ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე, რაც დამატებით მიუთითებს, რომ კანონით დადგენილი შეკრების წესების დარღვევას აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ქონია.

რაც შეეხება, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გათავისუფლების საკითხს, როგორც აღინიშნა, აქციის მონაწილეების მხრიდან არ ყოფილა გზის დაკავების ორგანიზებული მცდელობა, რაც გამორიცხავდა ამ საფუძვლით პოლიციის მხრიდან აქციის მიმდინარეობაში ჩარევას.

138 იხ. შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე: <https://www.facebook.com/MIAofGeorgia/videos/1402397793195549/> (ვიდეოს 21-ე წუთი), ბოლოს ნანახია 2018 წლის 5 ივლისს.

139 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ზვიად გელბახიანთან, თბილისი, 28.08.2018.



როგორც აღინიშნა, მოქალაქეთა რაოდენობა აქციის მსვლელობასთან ერთად იზრდებოდა და სხვადასხვა წყაროზე<sup>140</sup> დაყრდნობით, მათი რაოდენობა 500-დან 1000-მდე მერყეობდა.<sup>141</sup> ასეთ პირობებში, რთულად წარმოსადგენია, ამ რაოდენობის ადამიანი როგორ შეძლებდა განლაგებას კლუბის მიმდებარედ არსებულ ტროტუარზე ისე, რომ მათ შეენარჩუნებინათ კავშირში აქციის სხვა მონაწილეებთან და ყოფილიყვნენ დაკავშირებული აქციის მიმდინარეობასთან. აქციაზე მყოფი ადამიანები სოლიდარობას გამოხატავდნენ კონკრეტულად ღამის კლუბ „ბასსიანის“ მიმართ და მათი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ყოფილიყვნენ კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, მასთან ახლოს. მიუხედავად ამისა, პოლიცია წერეთლის გამზირის მოპირდაპირე ტროტუარებზე განლაგებულ აქციის მონაწილეებს არ აძლევდა გაერთიანების შესაძლობას და საპოლიციო კორდონებით მიჭნავდა მოქალაქეთა ჯგუფებს ერთმანეთისგან.

რაც შეეხება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გათავისუფლების შესაძლო არგუმენტს, გასათვალისწინებელია, რომ შეკრების მიზანი არ ყოფილა სამანქანო გზის დაკავება. როგორც ახსნა-განმარტებებიდან და მედია-სიუჟეტებიდან ჩანს, ავტოტრანსპორტი მოძრაობის შეფერხებას გარკვეულწილად იწვევდა ადგილზე მობილიზებული დიდი რაოდენობით პოლიცია და მათი ეკიპაჟები, ასევე აქციის მონაწილე ცალკეული პირები, რომლებიც კვეთდნენ გზას, რომ გზის მეორე მხარეს მდებარე ტროტუარზე მყოფ ხალხს შეერთებოდნენ. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მოვლენები ვითარდებოდა შუა ღამით (ღამის პირველი საათის შემდეგ), რა დროსაც ზოგადად ქალაქში და წერეთლის გამზირზე მანქანების მოძრაობის ინტენსივობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. ამდენად, აქციით გამოწვეულ დისკომფორტი, მათ შორის, ავტოტრანსპორტის მოძრაობის შესაძლო შეფერხება იყო რაციონალური, მოსალოდნელი და საჯარო სივრცეში მიმდინარე პროტესტის თანაზომიერი. ამასთან, ეს დისკომფორტი ცხადია არ უთანაბრდებოდა ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვას და პარალიზებას და ამდენად, ვერ გახდებოდა შეკრების უფლებებში ჩარევის საფუძველი.

12 მაისის აქციაზე პოლიციის ქმედებების შეფასებისას კიდევ ერთხელ უნდა გაეხვას ხაზი, რომ პოლიციამ ფიზიკური ძალის გამოყენებით გაათავისუფლა არა მანქანების სამოძრაო ტერიტორია, არამედ წერეთლის გამზირზე მიმდებარე ტროტუარები, რაც კიდევ უფრო ცხადად მიუთითებს პოლიციის მხრიდან შეკრების თავისუფლების უხემ დარღვევაზე.

140 კლუბ „ბასსიანის“ მიერ მონაწილეული ინფორმაცია ღონისძიების ვიზიტორების რაოდენობაზე, ინციდენტის მონაწილეების ახსნა-განმარტებები, აგრეთვე შემთხვევის ადგილიდან მომზადებული ვიდეო-სიუჟეტები.

141 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუები მ.მ-სთან, თბილისი, 06.06.2018 და დ.ს.-სთან, თბილისი, 28.05.2018.



### 3.4. პოლიციის ვალდებულებები მშვიდობიანი შეკრების კონტექსტში

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი სამართალდამცავებისთვის ადგენს მოქმედების ისეთ ზოგად პრინციპებს, როგორცაა ძალის გამოყენების თანაზომიერება, კანონიერება, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვის პატივისცემა.<sup>142</sup> იძულების ღონისძიებების გამოყენებისას კი კანონი ადგენს როგორც პროპორციულობის სტანდარტს, აგრეთვე ავალდებულებს სამართალდამცავებს, რომ წინასწარ გააფრთხილონ პირები ფიზიკური ძალის თუ სხვა საშუალებების გამოყენების თაობაზე და მისცენ გონივრული ვადა, მათი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.<sup>143</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს, სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად, სამართალდამცავებს აგრეთვე აკისრიათ ვალდებულება:

- აწარმოონ ორგანიზატორთან ან მონაწილეებთან მოლაპარაკება ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან აცილებისა და სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით;
- განასხვავონ მშვიდობიანი მონაწილეები შესაძლო სამართალდამრღვევი პირებისგან, რომელთა მიმართაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები;
- გამოაცალკევონ საზოგადოებრივი წესრიგის შესაძლო დამრღვევები და გაიყვანონ ტერიტორიიდან, რათა მათი ქმედების გამო არ შეწყდეს/დაიშალოს მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია.<sup>144</sup>

„პოლიციის შესახებ“ კანონითა და მინისტრის ბრძანებით სამართალდამცავებს აქვთ კონკრეტული მითითებები, რომ აქციის დაშლამდე მათ უნდა იხმარონ ყველა ღონე, მათ შორის მოლაპარაკებები, კონკრეტულ სამართალდამრღვევთა განცალკევება, აგრეთვე ადეკვატური ძალის გამოყენება, რათა ბოლომდე იყოს უზრუნველყოფილი შეკრებილთა უფლებების დაცვა და არ დადგეს მთლიანად აქციის დაშლის საჭიროება.

ანგარიშის მომზადების დროს გამოკითხული შეკრების არცერთი მონაწილე არ აღნიშნავს, რომ მათ პოლიციამ წინასწარ განუმარტა მოთხოვნები და მისცა გონივრული ვადა მათ

142 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის II თავი.

143 იქვე, მუხლი 31.

144 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის #1002 ბრძანება „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 4.

შესასრულებლად, ანდა გააფრთხილა ისინი ძალის გამოყენების თაობაზე. პოლიციელთა მხრიდან მსგავსი მოქმედება ასევე არ ფიქსირდება არც ერთ მედია-სიუჟეტში. როგორც ნესი, სამართალდამცავები მხოლოდ შემოიფარგლებოდნენ ზოგადი მონაწილეებით მოქალაქეების მიმართ, რომ დაეტოვებინათ ტერიტორია და რომ ნუ უშლიდნენ მათ ხელს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. თუმცა, რა მიზეზით უნდა დაეტოვებინათ მოქალაქეებს კლუბის მიმდებარე ტერიტორია, მითუმეტეს საფეხმავლო ტროტუარები, ან რაში ვლინდებოდა პოლიციის საქმიანობაში ხელის შეშლა, ამის განმარტება არ ხდებოდა.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ნათლად ადგენს, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეკრების უფლების შეზღუდვა უნდა იყოს:

- საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სიკეთეების მიდნევისაკენ მიმართული;
- კანონით გათვალისწინებული;
- დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი;
- არადისკრიმინაციული;
- პროპორციულად შემზღუდველი;
- ისეთი, რომ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.<sup>145</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია ისეთ ინტერესებზე, როგორცაა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. 12 მაისის აქციით არცერთ ზემოაღნიშნულ ინტერესს საფრთხე არ დამუქრებია. როგორც უკვე აღინიშნა, აქცია ატარებდა მშვიდობიან ხასიათს, არ იწვევდა რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტის გამართულად მუშაობის შეწყვეტებას, არ არღვევდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში, განმარტა, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც არსებობს ძალადობის განხორციელების რეალური საფრთხე და ძალადობა შეიძლება მასობრივად განხორციელდეს.<sup>146</sup>

145 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი.

146 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 108.

მიუხედავად ამისა, პოლიციის წარმომადგენლებმა 12 მაისის ღამეს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეებს არ მისცეს მათ მიერ შერჩეულ ადგილას პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა. პოლიციის მოქმედებით, დემონსტრანტებს არ მიეცათ ფიზიკურად ერთად ყოფნის, ერთ ჯგუფად მოქმედების შესაძლებლობა. სამართალდამცავებმა თავდაპირველად ორ ჯგუფად გაყვეს აქციაზე მყოფი მოქალაქეები. შეკრებილების ნაწილს მოუწია კლუბ „ბასსიანის“ მხარეს წერეთლის გამზირზე არსებულ ტროტუარზე დარჩენა, ხოლო დემონსტრანტების ბევრად დიდ ნაწილს მოუწია გზის მოპირდაპირე (აკაკი წერეთლის ძეგლის მიმდებარედ) მხარეს გადასვლა და ამ ორ ჯგუფს შორის პოლიციას მინიმუმამდე ჰქონდა შემცირებული ფიზიკური თუ სიტყვიერი კონტაქტის შესაძლებლობა. მოგვიანებით, პოლიციამ ფიზიკური ძალის გამოყენებით დაიწყო კლუბის მოპირდაპირე მხარეს მყოფი დემონსტრანტების შევიწროვება და აიძულა დაეტოვებინათ „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორია და წერეთლის გამზირის მიმდებარედ, ზედა ქუჩებზე გადაადგილებულიყვნენ.

ამ პროცესში შეკრების მონაწილეები არაერთგზის მოუწოდებდნენ ადგილზე მყოფ სამართალდამცავებს, რომ მისულიყვნენ მათთან და მოლაპარაკების გზით განემუხტათ დაძაბულობები და ერთობლივად შეთანხმებულიყვნენ, რა ფორმებით გაგრძელებულიყო შეკრება. თუმცა, პოლიციას არ გამოუვლენია კომუნიკაციის მცდელობა და არ მიუღია სათანადო ზომები იმისთვის, რომ აქციის მონაწილეებს აქციის გაგრძელების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ამის საწინააღმდეგოდ, შეკრების უფლების შეზღუდვისას, პოლიცია არ აკეთებდა განმარტებებს აქციის მონაწილეებთან. პოლიცია აქტიურად იყენებდა ფიზიკურ ძალას, რამაც დემონსტრანტებს არ მისცა შესაძლებლობა ერთობლივი/კოლექტიური პროტესტის დაფიქსირებინათ. პოლიციის ქმედებებმა, საბოლოო ჯამში დემონსტრანტები აიძულა, კლუბი „ბასსიანის“ მიმდებარე ტერიტორია დაეტოვებინათ და ქალაქის სხვა ადგილას გაეგრძელებინათ პროტესტი.

## 4. ადმინისტრაციული დაკავებების კანონიერების შეფასება

2018 წლის 12 მაისს, კლუბ „ბასსიანსა“ და „კაფე გალერიში“ ჩატარებულ საპოლიციო ღონისძიებას ამავე კლუბთან მშვიდობიანი საპროტესტო აქცია მოჰყვა, რომელმაც შემდეგ რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა. მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დროს, პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა 44 პირი, რომელთა შორის ასევე იყვნენ კლუბ „ბასსიანის“ წარმომადგენლები. აქციის მონაწილეთა დაკავების ოფიციალურ საფუძვლად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მიუთითებდნენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) ან/და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებს.

12 მაისს განვითარებული მოვლენები არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც შეკრებისა და მანიფესტაციის დროს უსაფუძვლოდ გამოიყენება ადმინისტრაციული დაკავება. ანგარიშის აღნიშნული თავის მიზანია, პოლიციის მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავების ლეგიტიმურობის შეფასება, ამ პროცესში გამოვლენილი სისტემური პრობლემების დოკუმენტირება და ანალიზი.

## 4.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის გამოყენება შეკრების უფლების საწინააღმდეგოდ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა კავშირის პერიოდში<sup>147</sup> მიღებული სამართლებრივი აქტია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ვერ პასუხობს იმ კრიტერიუმებს, რომელსაც ნორმატიული აქტი უნდა აკმაყოფილებდეს.

აღსანიშნავია, რომ უკვე მრავალი წელია საუბარია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის საჭიროებაზე. ჯერ კიდევ 2014 წლისათვის საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო გეგმის<sup>148</sup> მიხედვით, ერთ-ერთ მიზანს აღნიშნული კოდექსის სისტემური გადახედვა წარმოადგენდა. მიზნის მიღწევისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავებასა და იმ ნორმების, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობდა, რომელებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.

მრავალი დაპირების მიუხედავად, კანონმდებლობის რეფორმა დღემდე არ განხორციელებულა, რაც პოლიციას აძლევს შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. აღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვის შემთხვევები წლების განმავლობაში დოკუმენტირებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის ანგარიშებში<sup>149</sup>.

147 1984 წლის 15 დეკემბერის №161-X საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება.

148 იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილება. იგივე ვალდებულებას ითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო გეგმა (2016-2017 წლების), რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N338 დადგენილებით.

149 Human Rights Watch, *Administrative Error: Georgia's Flawed System of Administrative Justice*, January 2013, <https://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0112ForUpload.pdf>

ბ. Report 26 May Analysis of Human Rights Violations during and related to the Dispersal of the May 26 Assembly, GYLA, 2011 <https://goo.gl/nKDmpz>

გ. Political Neutrality in the Police System, EMC, 2016 <https://emc.org.ge/2016/09/07/emc-130/>

დ. Protests Considered to be an offence, GYLA, 2017 <https://goo.gl/ocENXL>

ადმინისტრაციული დაკავება პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დაცვისათვის საფრთხის შემცველი ერთ-ერთი მექანიზმია, რომლის გამოყენებაც პოლიციას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე შეუძლია. პოლიცია ვალდებულია, დაკავება განახორციელოს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ერთი საფუძველი მაინც.<sup>150</sup> პოლიციელი, რომელმაც პირის დაკავება გადაწყვიტა, შებოჭილია თანაზომიერების პრინციპით და ვალდებულია დაკავება გამოიყენოს მაშინ, როდესაც ეს ზომა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და კონკრეტულ მოცემულობაში არის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული.<sup>151</sup>

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიცია დაკავების ოქმში არ უთითებს დაკავების კონკრეტულ საფუძველს, რაც ართულებს პოლიციის მოქმედების კანონიერების შემოწმებას. ზოგ შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გამოიყენება დაკავების მაქსიმალური ვადა. აღსანიშნავია, რომ სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს დაკავების კანონიერება.

სახალხო დამცველი 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებს, რომ კოდექსი სრულყოფილად არ არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების პროცედურულ საკითხებს, სათანადოდ არ უზრუნველყოფს პირს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტებით, არ არის განსაზღვრული მტკიცებულებათა მოპოვების, გამოკვლევის და შეფასების წესი.<sup>152</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით,<sup>153</sup> კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებები, რომელიც ვრცელდება სისხლის სამართლებრივი ბრალდების ცნებაზე, ასევე ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას. „ის გარემოება, რომ მოსალოდნელი სახდელი შედარებით ნაკლებ მძიმეა, არ აცლის სამართალდარღვევას მის თანდაყოლილ სისხლის სამართლებრივ ბუნებას.“<sup>154</sup>

წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებადი ნორმებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სფეროში, სისხლის სამართლებრივი ბუნებისაა და უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის საპროცესო გარან-

150 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

151 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.

152 იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 114.

153 ამ მხრივ პირველი საქმეა *Öztürk v. Germany*, № 8544/79, 21 თებერვალი 1984წ. ასევე საქმეები *Engel and Others v. The Netherlands*, № 5100/71, 8 ივნისი 1976წ. *Balsytė, -Lideikiene v. Lithuania*, , №72596/01, 4 ნოემბერი 2008წ. და *Flisar v. Slovenia*, , № 3127/09, 29 სექტემბერი 2011წ.

154 *Gradinger v. Austria*, N 15963/90, 23 ოქტომბერი 1995 წელი.

ტიებს, როგორცაა უდანაშაულობის პრეზუმცია, მტკიცების სტანდარტი, უფლება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაიცვას თავი და სხვა.

## 4.2. ადმინისტრაციული დაკავებები და მასთან კავშირში სავარაუდო უფლების დარღვევის შემთხვევები

### 4.2.1. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენება

2018 წლის 12 მაისს, კლუბ „ბასსიანთან“ საპროტესტო აქცია სპონტანურად დაიგეგმა. აქციაზე იმყოფებოდნენ არამხოლოდ ის პირები, რომლებმაც კლუბის ტერიტორია დატოვეს, აქციას ასევე უერთდებოდნენ პირები, რომლებიც კლუბში ჩატარებული ოპერაციის ფორმას და აქციის მიმდინარეობისას პოლიციელთა ქმედებებს აპროტესტებდნენ. აქცია პირდაპირ ეთერში გადაიციმოდა სხვადასხვა მედია-საშუალებით. ვიდეო კადრები აჩვენებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მთავარი მიზანი აქციაზე მყოფი ხალხის ტერიტორიიდან გაყვანა და საპროტესტო მუხტის განეიტრალება იყო. ამისათვის ისინი სხვადასხვა ხერხს, მათ შორის ადმინისტრაციული წესით დაკავებას იყენებდნენ.<sup>155</sup> ადმინისტრაციული წესით მასობრივი დაკავება კლუბთან, საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას დაიწყო.<sup>156</sup> პოლიციელთა მხრიდან ფიქსირდებოდა როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები.<sup>157</sup> პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევებში არაპროპორციული იყო, რამაც აქციის რამდენიმე მონაწილის დაშავება გამოიწვია.<sup>158</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფომ შეკრება-მანიფესტაციის დაშლისას პროპორციული ზომები უნდა გამოიყენოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძალოვანმა სტრუქტურებმა შეკრების დაშლის ოპერაცია უნდა განახორციელონ, ოპერაცია უნდა შემუშავდეს ისე, რომ აქციის მონაწილეებისადმი ზიანის მიყენების რისკი მინიმუმამდე დავიდეს.<sup>159</sup>

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შესაძლებელია, გახდეს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევადაც სამართალდამცავი ორ-

155 <https://www.facebook.com/liberalimagazine/videos/1812179738845531/> ბოლოს ნანახია 10.07.2018.

<https://www.facebook.com/netgazeti/videos/10156615690472044/> ბოლოს ნანახია 10.07.2018.

<https://www.facebook.com/news.on.ge/videos/1791617120889652/> ბოლოს ნანახია 11.07.2018.

<http://rustavi2.ge/ka/news/103754> ბოლოს ნანახია 10.07.2018.

156 <http://rustavi2.ge/ka/news/103845> ბოლოს ნანახია 11.07.2018.

157 <https://goo.gl/zaTrdy> ბოლოს ნანახია 10.07.2018.

158 <https://goo.gl/SPciqT> ბოლოს ნანახია 11.07.2018.

159 Makaratzis v. Greece, Application No. 50385/99, 2004.



განოები უფლებამოსილი არიან, გაატარონ სათანადო ზომები. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით. მაშინაც კი, როდესაც პოლიციელის მიერ ფიზიკური იძულება გამოწვეულია აუცილებლობით, გამოყენებული ძალა უნდა იყოს პროპორციული და ადეკვატური. ახსნა-განმარტებების და თავად ადმინისტრაციული დაკავების ოქმებიდან იკვეთება, რომ დაკავების შედეგად 5 პირს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები.

გამოკითხულ პირებს შორის იყვნენ კლუბ „ბასიანის“ თანამშრომლები,<sup>160</sup> რომლებიც მათი განმარტებით, კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე ცდილობდნენ სიტუაციის განეიტრალებას. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ მომენტში მათ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაკავებული პირები ახსნა-განმარტებებში აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან პოლიციელთა ან სხვა პირთა მიმართ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ აქციის სხვა მონაწილეების დაკავებაზე.

აღნიშნულიდან, განსაკუთრებით პრობლემურია თ.ს.-ს შემთხვევა, რომელიც 12 მაისს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვისა და პოლიციელისათვის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველით იქნა დაკავებული. მისი განმარტებით, დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. შედეგად, მან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. კერძოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემულ ცნობაში მითითებულია, რომ აქვს მარცხენა ბეჭის ძვლის მოტეხილობა. სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მიერ გაცემულ დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ პირველადი გასინჯვისას პაციენტის მდგომარეობა იყო მწვავე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გამოკითხული პირი,<sup>161</sup> რომელიც თ. ს.-სთან ერთად იქნა დაკავებული, ასევე ადასტურებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

#### 4.2.2. ადმინისტრაციული წესით დაკავებების კანონიერების შეფასება

- დაკავების კანონიერების საკანონმდებლო საფუძვლები

მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ როდიდან ითვლება პირი დაკავებულად, ვრცელდება თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადმინისტრაციულ დაკავებაზე და არსებობდა თუ არა ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძველი.

160 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინტერვიუ ბ.ჭ-სთან, ი.გ-სთან, გ.გ-სთან, დ.ბ-სთან.

161 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინტერვიუ ზ.ღ-სთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, პირი დაკავებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძვლით, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას.<sup>162</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, ისევე როგორც სისხლის სამართლით გათვალისწინებულ დაკავებაზე, ვრცელდება კონსტიტუციის მე-18 მუხლის დაცვის სფერო. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც დაკავებასთან გვაქვს საქმე, პირი ეჭვმიტანილია კონკრეტული დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენაში და როდესაც მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, აუცილებელია საზოგადოებისგან პირის დროებით იზოლირება, ან მისი დახურულ სივრცეში გადაყვანა (მოთავსება), ან ეს აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის მიზნით.<sup>163</sup> შესაბამისად, კონსტიტუციის მე-18 მუხლით დადგენილი გარანტიები ვრცელდება ადმინისტრაციული წესით დაკავებაზეც.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ადგენს, რომ პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პოლიციელს მინიჭებული აქვს თავისუფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაბომიერების პრინციპის შესაბამისად. ეს გულისხმობს, რომ საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. პოლიციელის მიერ შერჩეული გამოსადეგი საპოლიციო ღონისძიება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა პირს.<sup>164</sup>

სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, შეკრებების დროს პირების დაკავება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის საფუძვლით, უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მაღალ სტანდარტს პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებიდან გამომდინარე. დაკავება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყველაზე აუცილებელ შემთხვევებში, როდესაც ამ ზომის გამოუყენებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.<sup>165</sup>

162 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის განაწყვეტილებაში საქმეზე – „ფირუზ ბერიბაშვილი, რევაზ ჭიმშიერიშვილი და სხვალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

163 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განაწყვეტილება- „საქმეზე ლევან იშორია და დავით მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

164 იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-12 მუხლი.

165 იხ. Guidelines on Freedom of Peaceful Assembly – Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 –European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.13

აღნიშნული პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც დაკავება ხდება შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების დროს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ჰქონდა თუ არა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ამონურული ზემოქმედების სხვა ზომები და იყო თუ არა ადმინისტრაციული დაკავება აუცილებელი და უკიდურესი ზომა. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით აღიარებული და დაცული უფლების შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული, რათა შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.<sup>166</sup>

სახელმწიფოს შეუძლია, კანონმდებლობის მეშვეობით დაარეგულიროს შეკრებებისა და მანიფესტაციების სამართლებრივი მასშტაბები. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ „ძალის გამოყენება უნდა რეგულირდებოდეს ეროვნული კანონმდებლობით, რომელმაც უნდა დაადგინოს გარემოებები, რომლებშიც გამართლებული იქნება სხვადასხვა საშიშროებების დროს ძალის გამოყენება (მათ შორის ადევკატური, წინასწარი გაფრთხილების საჭიროება) და გამოსაყენებელი ძალის დონე. ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს ის ქმედებები, რომელიც შესაძლებელს გახდის პროპორციული ძალის გამოყენებას, როდესაც უფრო მშვიდობიანი ჩარევის საშუალებები ვერ აღწევენ შესაბამის მიზანს“.<sup>167</sup>

„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს მოლაპარაკების შესაძლებლობას, აქციის მონაწილესთან ძალისმიერი ჩარევის მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით. ამავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის თანახმად, პოლიციის მიერ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებამდე, შესაბამისი პირი ვალდებულია, წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შექმნილ ვითარებაში ასეთი გაფრთხილება შეუძლებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, როდესაც პატიმრობის კანონიერება დავის საგანი ხდება, კონვენცია მიმართავს ეროვნულ კანონმდებლობას და ეყრდნობა ვალდებულებას, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული კანონმდებლობის მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ ნორმებთან.<sup>168</sup> აღნიშნული, პირველ რიგში, მოითხოვს, რომ ნებისმიერ დაკავებას ან დაპატიმრებას

166 „შეზღუდვის პროპორციულობა“ არის საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სიკეთეების შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალებაა.

167 Guidelines on Freedom of Peaceful Assembly – Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 –

European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.11

168 Saadi v. United Kingdom. Application No. 13229/03, §67

ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ ასევე კავშირში უნდა იყოს კანონის ხარისხთან, რაც გულისხმობს მის შესაბამისობას კანონის უზენაესობასთან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს საფუძველებს, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს აქვს დაკავების უფლება:

- ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები;
- პიროვნების დასადგენად;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.<sup>169</sup>

ამასთან, კონვენციით დადგენილი კანონიერების სტანდარტი მოითხოვს, რომ თავისუფლების აღკვეთა ემსახურებოდეს პირის თვითნებობისგან დაცვას. დაკავება იქნება თვითნებური, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის დაცვის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას ან როდესაც შესაბამისი ეროვნული ორგანოები გამოიჩინენ დაუდევრობას და არ ეცდებიან რელევანტური კანონმდებლობის სწორი მიმართულებით გამოყენებას.<sup>170</sup>

#### • დაკავების კონკრეტული შემთხვევების შეფასება

კვლევის მიზნებისათვის შესწავლილი ადმინისტრაციული დაკავების ოქმებში<sup>171</sup> არ არის მითითებული ჩამოთვლილთაგან კონკრეტულად რა მიზნის მისაღწევად განხორციელდა დაკავება. ადმინისტრაციული დაკავების ოქმებში, იკვეთება, რომ ოქმებში არ არის მითითებული დაკავების კონკრეტული საფუძველი და დაკავების მოტივად მითითებულია მხოლოდ ის გარემოებები, რაც პოლიციამ სამართალდარღვევად შეაფასა.

შესწავლილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ პირის დაკავება იყო უკიდურესი ზომა, ზემოქმედების სხვა ზომების ამონურვის შემდეგ. სამართალდამცავი ორგანოს

169 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი.

170 Kakabadze and Others v. Georgia, Application No. 1484/07.

171 ადმინისტრაციული დაკავების ოქმები: N აო 000020490, N აო 00020450, N ბი 000051643, N ბი 000051642, N აო 000021046, N ბი 000051664, N ბე 000051156, N აო 000020314, N ბი 000051154, N ბე 000035287.

წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა დაკავების საფუძველი, აკავებდნენ პირებს რათა გამოხატულ პროტესტს ხელი არ შეეშალა მათთვის, რაზეც ნათლად მეტყველებს ახსნა-განმარტებების და მედიით გავრცელებული კადრების სისტემური ანალიზი.

ახსნა-განმარტებების საფუძველზე, უმეტეს შემთხვევაში, იკვეთება შეკრების მონაწილეების იმ მიზეზით დაკავება, რომ ისინი აპროტესტებდნენ აქციის სხვა მონაწილეების დაკავების ფაქტს.<sup>172</sup> გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ყოველგვარი მიზეზის გარეშე აკავებდნენ პირებს, რაც იწვევდა პროტესტის გრძობას, კვლევის მიზნებისათვის შესწავლილი ინფორმაციით დასტურდება 44 პირის დაკავების ფაქტი,<sup>173</sup> თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანგარიშის ავტორებს არ მიაწოდა საჯარო ინფორმაცია 12 მაისის დაკავებული პირების რაოდენობის შესახებ, შესაძლოა ეს რიცხვი არ ასახავდეს დაკავებათა ზუსტ რაოდენობას და დაკავებულთა რაოდენობა შესაძლოა, ხსენებულზე მეტი ყოფილიყო.

აღსანიშნავია, ისიც რომ ქაოტური სიტუაციის განეიტრალების მცირედი მცდელობაც კი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან დაკავების მიზეზი ხდებოდა. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არ აძლევდნენ შეკრების საშუალებას პირებს, რომლებიც ცდილობდნენ აქციის სხვა ნაწილთან გაერთიანებას, რათა ერთად გამოეთქვათ პროტესტი მომხდართან დაკავშირებით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ახსნა-განმარტებების საფუძველზე მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მხრიდან „პროფანაციული ლექსიკის“ გამოყენების მხოლოდ 3 შემთხვევა იკვეთება.<sup>174</sup> აქედან ერთი არ ყოფილა გამოთქმული კონკრეტულად პირის მიმართ და იყო სისტემის მიმართ გამოთქმული პროტესტი, რაც ავტომატურად ვერ ჩაითვლება დაკავების საფუძველად. რაც შეეხება დანარჩენ 2 ფაქტს, ირკვევა, რომ ეს იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა კონკრეტული სამართალდამცავის მიმართ, თუმცა, ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე, ეს იყო საპასუხო რეაქცია მათი შეგობრების დაკავებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე.

შესწავლილი საქმეები ადასტურებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან დაფიქსირდა დაკავებული პირების უფლებების დარღვევის არაერთი ფაქტი, რომლებიც უკავშირდებოდა უკანონო დაკავებას და ძალის არაპროპორციულ გამოყენებას. ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები ასახავს უკანონო დაკავების ფაქტებს.

172 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინტერვიუ ბ.ჭ-სთან, გ.ჭ-სთან, ი.გ-სთან, ა.ფ-სთან, კ.ჩ-სთან.

173 დაკავებულთა რიცხვის დადგენისას, კვლევის ავტორები ეყრდნობოდნენ დაკავებულთა და აქციის სხვა მონაწილეებისგან მიღებულ ინფორმაციას, ასევე 12 მაისის ღამეს, იურიდიული დახმარების განვეის მიზნით, ანგარიშის ავტორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვედრებს დაკავებულებთან.

174 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინტერვიუ ზ.ღ-სთან, ბ.ქ-სთან, დ.ბ-სთან.

ერთ-ერთი გამოკითხული პირი, რომელიც მოგვიანებით მივიდა დინამოს სტადიონთან და საპროტესტო აქციას შეუერთდა, განმარტავს, რომ მისი დაკავება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თქვა ფრაზა – „ბიძინა დაბრუნებულა.“ ადმინისტრაციული დაკავების ოქმში კი აღნიშნულია, რომ მან დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და წინააღმდეგობა გაუწია პატრულის თანამშრომელს. კონკრეტულ შემთხვევაში (როგორც სხვა დანარჩენში) დაკავების საფუძველი ვერ აკმაყოფილებს კანონიერების სტანდარტს და მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სუბიექტურ შეფასებას გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ საქმეზე შეწყვიტა<sup>175</sup> ადმინისტრაციული წარმოება, რადგან არ არსებობდა მტკიცებულებები, რაც სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს დაადასტურებდა.<sup>176</sup>

ამ საქმეში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქციის მონაწილის განმარტებით, სასამართლოში არ იყო წარმოდგენილი ის პირი, რომელმაც იგი უშუალოდ დააკავა. სასამართლოში იმყოფებოდა პოლიციელი, რომელიც იჭდა საპატრულო პოლიციის მანქანაში, რომელშიც მშვიდობიანი შეკრების მონაწილე დაკავების შემდეგ გადაიყვანეს. ამ პოლიციელის მიერვე მოხდა ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა.<sup>177</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტები მხოლოდ ამ საქმეში არ იკვეთება, საკუთარ ახსნა-განმარტებებში დაკავებულები აცხადებდნენ, რომ მათ აკავებდნენ სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები და შემდეგ პირდაპირ გადაჰყავდათ მობილიზებულ საპატრულო ეკიპაჟებში.<sup>178</sup> შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, თითქმის შეუძლებელიც კი, რომ ზუსტად განსაზღვროს იმ პოლიციელმა სამართალდარღვევის საფუძველი, რომელიც უშუალოდ ქმედებას არ შესწრებია. როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული დაკავების ოქმების უმრავლესობაში მითითებულია ერთიდაიგივე დაკავების საფუძველი, რაც ოქმების შაბლონურ ხასიათსა და დაკავების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობაზე მეტყველებს.

უკანონო დაკავების კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ზვიად გელბახიანის საქმე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყვიტა სამართალდარღვევის არარსებობის გამო. საკუთარ ახსნა-განმარტებაში ზვიად გელბახიანი აღნიშნავს,<sup>179</sup> რომ მან დაინახა მშვიდობიანი შეკრების მონაწილე პირის

175 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 ივლისის დადგენილება, გ.ჭ-ს საქმეზე.

176 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არ არსებობის გამო. შესაბამისად, რადგან საქმეში არ არი რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიერ განსახილველ სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალ წარმოება“

177 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №აპ 000028768; ადმინისტრაციული დაკავების ოქმი N აპ 00020450

178 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინტერვიუ ბ.ჭ-სთან, მ.ღ-სთან, გ.ჭ-სთან, ბ.ქ-სთან, გ.გ-სთან, ი.გ-სთან.

179 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ მ.გ-სთან.



დაკავების ფაქტი. კონკრეტულ დაკავებულთან დაკავშირებით ის ცდილობდა, სამართალდამცავ ორგანოს წარმომადგენელთან, გაერკვია თუ რა გახდა მისი დაკავების მიზეზი, რაზეც პასუხად მიიღო მონოდემა, რომ გადასულიყო ტროტუარზე. აღსანიშნავია, რომ ამ მონოდემას ზვიად გელბახიანი დაემორჩილა. სწორედ ამ მომენტში გაურკვეველი მიზეზით, პოლიციელმა მას უკნიდან ხელი ჩაავლო, ხოლო შემდგომ 7-8 პოლიციელმა ერთობლივად დააკავა, რის შემდეგაც გელბახიანი შეუძლოდ გახდა უჰაერობის გამო. ახსნა-განმარტების საფუძველზე ირკვევა, რომ თავისუფალი საპატრულო მანქანების არ არსებობის გამო ვერ მოხერხდა მისი გადაყვანა და 20 წუთის შემდეგ ის გადაიყვანეს არა საპატრულო არამედ სამოქალაქო მანქანით ლოტკინის დასახლებაში მდებარე პოლიციის განყოფილებაში, სადაც შეადგინეს დაკავების ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის. მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ რუსთავის იზოლატორში ზვიად გელბახიანი დილის 6 საათზე გადაიყვანეს.

აღნიშნულ საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება, რაც გამოიწვია სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობამ, რომელიც დაადასტურებდა ზვიად გელბახიანის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. თბილისის საქალაქო სასამართლოს<sup>180</sup> დადგენილებაში მითითებულია, რომ საქმის მასალებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, მხარეთა ახსნა-განმარტებით და წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით, არ არის უტყუარად დადასტურებული, რომ ზვიად გელბახიანის მიერ ჩადენილია სამართალდარღვევის ის ფაქტი, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა სამართალდარღვევათა ოქმი. სასამართლომ არ გაიზიარა, კონკრეტულად, ის გარემოება, რომ 2018 წლის 12 მაისს ზვიად გელბახიანი ხელს უშლიდა ღონისძიებების ჩატარების მსვლელობას და არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას.

კლუბ „ბასსიანთან“ მიმდინარე საპროტესტო აქციას შეუერთდა პოლიტიკური პარტია „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჭაფარიძე, რომელიც მოგვიანებით, რუსთაველის გამზირზე, რამდენიმე პოლიციელმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დააკავა, მას შემდგომ, რაც მან ერთ-ერთ მედია საშუალებასთან დაასრულა ინტერვიუ.<sup>181</sup> ზურაბ ჭაფარიძე მთელი ღამის განმავლობაში, დილის 10:00 საათამდე, იმყოფებოდა პოლიციის განყოფილებაში და შეზღუდული ჰქონდა მიმოსვლის თავისუფლება.

თავად, ზურაბ ჭაფარიძის ახსნა-განმარტების საფუძველზე<sup>182</sup> სამართალდამცავი ორგანოები ცდილობდნენ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების გადაადგილებას და ამ ქაოტურ მდგომარეობაში გადაადგილება ძალიან რთული იყო პოლიციელების მონოლის გამო. ზურა ჭაფარიძის თქმით ამ მომენტში დაახლოებით 15 ადამიანი დააკავეს. როდეს

180 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის დადგენილება, საქმეზე N 4/3817-18.

181 <https://www.facebook.com/netgazeti/videos/10156615928377044/> ბოლოს ნანახია 11.07.2018

182 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ ინტერვიუ ზ.ჭ-სთან.

საც აქციათ რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა, ის პოლიციას სთხოვდა განემართა, თუ რატომ აკავებდნენ უსაფუძვლოდ ადამიანებს, მაგრამ მათ არაფერი განუმარტავთ. შემდეგ, როდესაც მან „TV პირველთან“ ინტერვიუ დაასრულა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა გაურკვეველი მიზეზით დააკავეს. იმ პერიოდში, რაც მან განყოფილებაში დაჰყო, ზურაბ ჭაფარიძეს არ ჰქონდა ზარის განხორციელების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ ჭაფარიძე არ დაეთანხმა დაკავების საფუძვლებს და ადმინისტრაციული დაკავება გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დაკავების ოქმში<sup>183</sup> მითითებულია, რომ საპროტესტო აქციაზე ზურაბ ჭაფარიძე გამოხატავდა აშკარა უპატივცემულობას პოლიციის თანამშრომლების მიმართ, რაც გამოიხატა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფაში. არც ამ შემთხვევაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა მიზნის მისაღწევად განხორციელდა პირის დაკავება. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩაითვლებოდა, რომ ზურაბ ჭაფარიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიციელთა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეს ავტომატურად არ ქმნიდა დაკავების სამართლებრივ საფუძველს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი განსხვავებულია იმ ოქმისაგან, რაც ზურაბ ჭაფარიძეს დაკავების შემდეგ გადაეცა.<sup>184</sup> კერძოდ, სასამართლოში წარდგენილი სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ახალი თარიღით, მასში აღნიშნულია, რომ ზურაბ ჭაფარიძემ ოქმზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, მაშინ, როდესაც ახალი ოქმის შედგენის დრო ზურაბ ჭაფარიძისათვის არ უცნობებიათ. შესაბამისად, იგი არ ესწრებოდა ოქმის შედგენის პროცესს. ამ დროისათვის აღნიშნული საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება.

#### • დაკავების დროს უფლებების რეალიზაცია

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) განსაკუთრებულად უსვამს ხაზს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: პირმა შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ მესამე მხარეს, რომელსაც თავად აირჩევს (ოჯახის წევრი ან მეგობარი); მიეცეს ადვოკატის მოთხოვნის უფლება და სამედიცინო შემონიშნების უფლება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს. ეს არის სამი ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის სანჯის ეტაპზე.

183 ადმინისტრაციული დაკავების ოქმი N ბი 000051216

184 ზურაბ ჭაფარიძისათვის გადაეცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ბე 000035229 შედგენის თარიღი: 12.05.2018.

სასამართლოში წარმოდგენილი: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N ბე 000035287 შედგენის თარიღი: 07.06.2018.

ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი; რომ აქვს უფლება ადვოკატზე; რომ აქვს უფლება, სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე, მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.<sup>185</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონოდეტული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 12 მაისს სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე შევიდა 55 სატელეფონო შეტყობინება, რომელიც კავშირში იყო დაკავებული პირების ადგილსამყოფელის დადგენის ან/და დაკავების დროს უფლებების დარღვევის ფაქტებთან; დაკავებულ პირთაგან სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მოინახულეს 10 პირი; დაკავებულ პირთაგან, რომლებიც მოინახულეს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა არცერთი არ დაეთანხმა დაკავების საფუძველს და განაცხადეს მათი უფლებების დარღვევის შესახებ.

კვლევის მიზნებისათვის გამოკითხულმა 12 მაისს დაკავებულმა ყველა პირმა განაცხადა, რომ მათ არ განემარტათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი და დაკავების საფუძველი; ასევე პატრულის თანამშრომელს მათთვის არ განუმარტავს დაკავებულის უფლებები, რომ შეეძლოთ ჰყოლოდათ ადვოკატი. დაკავებულთა უმრავლესობას მიეცა შესაძლებლობა დაკავშირებოდა თავიანთ ოჯახის წევრებს, მაგრამ ამ უფლებით სარგებლობა მათ გარკვეული დროის, დაკავებიდან დაახლოებით 2-3 საათის შემდეგ მიეცათ. რაც შეეხება ფიზიკური მდგომარეობის შემოწმებას, ის მხოლოდ 5 ადამიანს ჩაუტარდა. ასევე, მხოლოდ 3 გამოკითხულ პირს გადაეცა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ პირთაგან მხოლოდ 3 იქნა გადაყვანილი წინასწარი დაკავების იზოლატორში. დაკავებულთა უმრავლესობა დააყოვნეს პოლიციის ავტომობილში, როგორც ცნობილი გახდა დაკავებულთა ნაწილი წაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორთან, სამმართველოს ტერიტორიაზე და იქ დააყოვნეს მანქანაში, ხოლო ნაწილი ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე სამინისტროს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა,<sup>186</sup> როდესაც მშვიდობიანი შეკრების მონაწილე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფუძველით, ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდეგ პოლიციამ დაახლოებით სამი საათის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში ამყოფა.

185 იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 245-ე მუხლი, პირველი ნაწილი.

186 Emin Huseynov v. Azerbaijan 2015 Application No. 59135/09.

შესაბამისად მსგავსი მოპყრობა ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს განსაკუთრებით ისეთ დროს, დაკავების სანჯის ეტაპზე, როდესაც განსაკუთრებით მოწყვლადია პირი.

### 4.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვა სასამართლოში

2018 წლის 12 მაისს მშვიდობიანი შეკრების დროს ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საქმეები კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების კუთხით ფუნდამენტური ხარვეზების არსებობას, რაც პირს ტოვებს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ<sup>187</sup> მშვიდობიანი შეკრების 3 მონაწილე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. სამივე პირის დაკავების ოქმში მითითებულია, რომ ისინი არ დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას დაწყნარებულიყვნენ, პოლიციის თანამშრომლებს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაკავებისას გაუწიეს წინააღმდეგობა.

საქმის სასამართლოში განხილვისას პოლიციამ ვერ წარადგინა სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებების. მიუხედავად ამისა, სასამართლო დაეყრდნო პოლიციელთა ახსნა-განმარტებებს და სამივე მათგანი სამართალდამრღვევად ცნო. აღსანიშნავია, რომ სასამართლოში წარდგენილ იქნა კ.ჩ.-ს დაკავებამდე შემთხვევის ადგილზე არსებული ვითარებისა და უშუალოდ დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერი. ვიდეო ჩანაწერით დასტურდებოდა, რომ კ.ჩ.-ს მხრიდან სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია, რაც სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა.

სასამართლოში წარდგენილი ნ.ქ.-ს დაკავების კადრებით დადასტურდა ერთის მხრივ ის ფაქტი, რომ მას სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, მეორეს მხრივ, ნათლად გამოჩნდა, რომ მის დაკავებას ახდენდნენ მამრობითი სქესის პოლიციის თანამშრომლები, ხოლო დაკავების ოქმსა და პოლიციელთა ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ იგი დააკავეს მდებრობითი სქესის პოლიციის თანამშრომლებმა. ნ.ქ.-მა სასამართლოში საქმის განხილვისას განაცხადა, რომ პროცესზე გამოცხადებული პოლიციის ქალი თანამშრომლები მისი დაკავებიდან დაახლოებით 3 საათის შემდეგ, პოლიციის განყოფილებიდან გამოიძახეს, რათა მისი ზედაპირული შემოწმება ჩაეტარებინათ.

სასამართლოს დადგენილებაში მითითებულია, რომ პირები არღვევდნენ საზო-

187 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის დადგენილება, კ.ჩ., ა.ფ და ნ.ქ საქმეზე.

გადოებრივ წესრიგს, არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას – შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება, მაგრამ სასამართლო არ მსჯელობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე. მოსამართლე დადგენილებაში მიუთითებს, რომ „სამართალდამცავების მიზანს და მოწოდებას არ შეადგენდა რაიმე შეკრებისა ან/და მანიფესტაციის შეწყვეტა.“ შესაბამისად, მოსამართლემ დადებით ფაქტორად აღნიშნა ის, რაც საერთოდ არც წარმოადგენდა დავის საგანს და რეალურად მოთხოვნის კანონიერების შეფასება არც მოუხდენია.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი, მათ შორის, გულისხმობს, აღნიშნოს მისი შედგენის თარიღი საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები,<sup>188</sup> რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.<sup>189</sup> შესაბამისად, მონაცემების დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ არის მითითებული სამართალდარღვევის ოქმში. სასამართლოს შეუძლია ოქმში მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით გააკეთოს სამართლებრივი შეფასება, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია გასცდეს მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და იმსჯელოს ისეთ ფაქტზე, რომელიც არ ყოფილა ასახული შედგენილ ოქმში, რადგან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს<sup>190</sup> ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები. მტკიცებულებებს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა სახის დოკუმენტი.

გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ მხარეთა შეჭიბრობითობისა და ზოგადი სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტება სადავო ურთიერთობის

188 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

189 იქვე, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

190 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად.

ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს, რაც ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა გამოკვლევის პრინციპებს.<sup>191</sup>

შესაბამისად, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულება, კონკრეტულ შემთხვევაში ვიდეო ჩანაწერი, ადასტურებს სამართალდარღვევის არარსებობის ფაქტს და ასევე, ადასტურებს, რომ სამართალდარღვევათა ოქმში მითითებული გარემოები მცდარია, გაუგებარია სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც არც კი აფასებს სასამართლო პროცესზე მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება უგულებელყოფს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნული სტანდარტი უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართაც და პირის სამართალდამრღვევად ცნობისა და მისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების დროს სახეზე უნდა იყოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს ბრალდებულ პირის სასარგებლოდ.<sup>192</sup>

საქალაქო სასამართლომ შ.ც. და ლ.ს. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნო<sup>193</sup>. ამ საქმეშიც დადგენილების ტექსტი ანალოგიურად იმეორებს ზემოთ განხილული დადგენილების შინაარსს. აღნიშნულ საქმეში ასევე საყურადღებოა სასამართლო სხდომაზე პოლიციის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განმარტება, რომ დაკავების საფუძველს წარმოადგენდა მოქალაქეთა საპროტესტო აქცია, რაც იწვევდა დასახლებულ პუნქტში მცხოვრები ხალხის დისკომფორტს. მოსამართლემ დადგენილებაში აღნიშნა, რომ ხსენებული გარემოებების, მათ შორის შეკრებილი ხალხის სიმრავლის გათვალისწინებით, სასამართლო არ იზიარებს პასუხისგებაში მიცემული პირების ახსნა-განმარტებებს.

მოცემულ საქმეზე პოლიციის მიერ ასევე ვერ მოხდა სამართალდარღვევის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა.<sup>194</sup> სასამართლომ ამ შემთხვევაშიც

191 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის დადგენილება საქმეზე N4/4579-16.

192 თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 05 ნოემბრის დადგენილება საქმეზე #4/6426-15

193 თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 24 მაისის დადგენილება.

194 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლების ანალიზიდან დგინდება, რომ ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისათვის აუცილებელია არსებობდეს ბრალის ელემენტი, ანუ ქმედების განხორციელებისას უნდა შეფასდეს პირის სუბიექტური დამოკიდებულება, შეეძლო თუ არა გათვალისწინებინა ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.



მხოლოდ პოლიციელთა ახსნა-განმარტებების და მათ მიერ შედგენილი დოკუმენტების საფუძველზე ცნო პირები ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად.

12 მაისს რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს მშვიდობიან შეკრებაში მონაწილე კიდევ ერთი პირი ვ.კ. ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმებში მითითებულია, რომ იგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ილანძღებოდა და არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას – შეწყვიტა აღნიშნული ქმედება. დაკავებულის ახსნა-განმარტების საფუძველზე კი ირკვევა, რომ შეურაცხყოფას დაკავებული პირის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, თუმცა, რამდენიმე პირის დაკავების შემდეგ მოხდა მისი დაკავებაც, რაზეც წინააღმდეგობა არ გაუწევია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო განხილვისას პოლიციის თანამშრომელმა თავად უარყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ვ.კ-ს მიერ უცენზურო სიტყვების გამოყენებასთან დაკავშირებით. საქალაქო სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა წვრილმანი ხულიგნობის ნაწილში, მაგრამ ვ.კ სამართალდამრღვევად ცნო პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის. აღნიშნულის მიზეზი გახდა პოლიციელის მოწოდება, რომ მას უკან დაეხია მიუხედავად იმისა, რომ პირი ტროტუარზე იმყოფებოდა. აღნიშნულ მოწოდებას არ ადასტურებს არცერთი მტკიცებულება რომელიც საქმეში იყო წარმოდგენილი. აღნიშნული საქმე არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართულებით არსებული ნაკლოვანებების კარგი ილუსტრაცია, როდესაც მტკიცებულების არარსებობის მიუხედავად, მოსამართლემ მაინც გაიზიარა სამართალდამცავი ორგანოს პოზიცია. სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, პირის ბრალეულობა უნდა დადასტურდეს სახელმწიფოს წამომადგენლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. პირველ რიგში, ამის მტკიცებულება შეიძლება იყოს პოლიციელის სამხრე კამერის ჩანაწერები, რომლის გაკეთებაც მათ შეეძლოთ, მაგრამ არ გააკეთეს, რაც აღვივებს ეჭვს ქმედების არარსებობასთან დაკავშირებით. ოქმის შინაარსი კი საერთოდაც უარყოფილ იქნა ოქმის შემდგენელის მიერ, გამომდინარე აქედან, გაუგებარია რომელი მტკიცებულებების ერთობლობა გახდა პირის სამართალდამრღვევად ცნობის საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ მოახდინა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, რითაც სამართალდარღვევის დადგენისას გამორიცხა 173-ე მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი მთავარი ელემენტის დადგენა. სასამართლო სხდომაზევე დადასტურდა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებები იყო წინააღმდეგობრივი და მტკიცებულებებთან შეუსაბამო.

### 4.3.1. სასამართლო განხილვის ტენდენციების შეფასება

სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლო არ აფასებს წვრილმანი ხულიგნობის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას<sup>195</sup>. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა აპრიორი სამართალდარღვევად არ მიიჩნევა და დასაბუთებას საჭიროებს თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი პირი იქნეს ცნობილი სამართალდამრღვევად. წვრილმანი ხულიგნობა სახეგმა, როდესაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.<sup>196</sup>

სასამართლოს შეფასებით, კონკრეტული მუხლის დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ მნიშვნელოვანია შეფასდეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წარმოადგენს თუ არა წვრილმან ხულიგნობას. აღსანიშნავია, რომ უფლების დაცვის სფეროდან გამომდინარე, შეკრებისა და მანიფესტაციის დროს, ხშირ შემთხვევაში ირღვევა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმი, რადგან შეკრებაში მონაწილეთა მიერ აზრის მწვავე ფორმით გამოხატვის მიზანს ხელისუფლების ან/და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა წარმოადგენს. თუმცა, ეს არ შეიძლება წვრილმან ხულიგნობად შეფასდეს.

თუ აღნიშნული ქმედება ჩაითვლება წვრილმან ხულიგნობად, მაშინ საჭირო იქნება უარის თქმა მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე საჯარო ადგილებში, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური რიტმის ნებისმიერი დარღვევა წვრილმან ხულიგნობად ჩაითვლება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ უფლებების დაპირისპირების შემთხვევაში უპირატესობა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას მიანიჭა: საზოგადოებრივი წესრიგის, სხვათა (მათ შორის გადაადგილების) უფლებებსა და შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უპირატესობა უნდა მიენიჭოს, ვიდრე ეს უფლება ბოროტად სარგებლობის ტოლფასი არ გახდება.<sup>197</sup>

195 მაგალითისათვის, 2016 წლის 7 ივლისის დადგენილებაში საქმე №4/4579-16 თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საზოგადოებრივი წესრიგი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ სიმშვიდესა და ცხოვრების ნორმალურ რიტმს. ანუ აღნიშნული განიშარტება საზოგადოების წევრთა მშვიდობიანი თანაარსებობა, როდესაც ადგილი არ აქვს მტრულ მოქმედებას, აჯანყებას, ამბოხებას, სხვა ქმედებას, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ყოველდღიური ნორმალური საზოგადოების ცხოვრება“.

196 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

197 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები \_ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.11

გემოთ განხილული საქმეებიდან, ნათელია, რომ სასამართლო სამართალდარღვევად განმარტავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. 166-ე მუხლიდან გამომდინარე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წარმოადგენს შედეგს და არა ქმედებას. თავად ქმედება, რომ სამართალდარღვევად ჩაითვალოს უნდა არსებობდეს წვრილმანი ხულიგნობის შემადგენელი ნაწილები: ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება. მაგრამ აღნიშნულ საქმეებში არსებული მტკიცებულებებით არცერთი არ დასტურდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოს მიერ განვითარებული მსგავსი ნორმატიული შინაარსი ასევე მიანიშნებს თავად ნორმის განუსაზღვრელობის პრობლემაზე. მნიშვნელოვანია ამ მუხლის შინაარსი იყოს ვინაშინ მიზანმიმართული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. წვრილმანი ხულიგნობის შემოღების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ძალადობის თავიდან აცილება. შესაბამისად, ამ მუხლის მსგავსი ფართო განმარტება არ წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურად გამართლებულ შეზღუდვას.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოს კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, სასამართლო არ ასაბუთებს თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს ამ მუხლის დარღვევა და შესაბამისად, პირის სამართალდამრღვევად ცნობა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის ადგენს ოთხ პირობას, რომლის კუმულატიურად არსებობის შემთხვევაში სახეზე იქნება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. პირობები შემდეგია: პირი, რომელიც გასცემს განკარგულებას, უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი; განკარგულების გაცემის მომენტში აღნიშნული პირი უნდა ასრულებდეს სამსახურებრივ მოვალეობას; მისი მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერი; პირი არ უნდა ემორჩილებოდეს მის მოთხოვნას.

აღნიშნული პირობებიდან განსაკუთრებით პრობლემურია არის თუ არა პოლიციელის მოთხოვნა კანონიერი და პირი დაემორჩილა თუ არა მის კანონიერ მოთხოვნას. სამსახურად, სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, სასამართლო არ ამოწმებს იყო თუ არა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ გაცემული მოთხოვნა კანონიერი. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკით, პირს ვგალებს პოლიციის ნებისმიერ მოთხოვნას დაემორჩილოს, მიუხედავად იმისა კანონიერია თუ უკანონო.

სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „პოლიციელის ესა თუ ის განკარგულება და მოთხოვნა კანონიერია მაშინ, როდესაც გამომდინარეობს უშუალოდ კანონმდებლობიდან – ანუ საჭარო, ან კერძო სამართლის ნორმებისაგან, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობას თუ მოქალაქეთა ქცევის წესებს ადგენენ და არეგული-

რებენ ნორმატიულად,“<sup>198</sup> სამწახაროდ განსახილველ საქმეებში არათუ კონკრეტდება ეს განმარტება, არამედ საერთოდ ადგილი არ აქვს სასამართლოს მსჯელობას აღნიშნულ საკითხზე.

პოლიციელის მიერ განხორციელებული საპოლიციო ღონისძიება უნდა გამომდინარეობდეს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან.<sup>199</sup> კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მოთხოვნის კანონიერების შეუფასებლობა, ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ნორმას ნეიტრალური შინაარსი გააჩნია შეკრების უფლების მიმართ, პრაქტიკიდან გამომდინარე მსგავსი ნორმატიული შინაარსის განვითარება იწვევს გამოხატვის თავისუფლების არალეგიტიმურ შეზღუდვას. მსგავსი პრაქტიკის პირობებში, პოლიციის მოთხოვნის კანონიერების შეფასება არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელის დისკრეციული უფლებამოსილება, რაც ზრდის თვითნებური დაკავების რისკებს, მითუმეტეს, როდესაც მოსამართლე არ ამოწმებს აღნიშნული ქმედების კანონიერებას.

შესწავლილი საქმეები ნათლად მიუთითებს, რომ მოსამართლე პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მიჩნევისას ეყრდნობა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის განმარტებას, ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმებს.

სამწახაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს დადგენილებები არის შაბლონური. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილ საქმეებში იკვეთებოდა განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები, დასაბუთებულობა იმისა, თუ რატომ უნდა დაეკისროს პირს ადმინისტრაციული სახდელი, ერთგვაროვანია. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოებები, როდესაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მყოფი პირი არ აღიარებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს და სასამართლოს წინაშე შესაბამისი მტკიცებულებებითაც წარმოადგენს ამ პოზიციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ პოლიციელის განმარტება საკმარისი არ არის პირისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და სასამართლომ უნდა გადაამოწმოს სადავო ინფორმაცია.<sup>200</sup> ასევე, სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა.<sup>201</sup> შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტ-

198 თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებაში საქმეზე #4/6297-14

199 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-10 მუხლი.

200 Virabyan v. Armenia, Application No. 40094/05, 2012.

201 Ochelkov v. Russia, Application No. 17828/05, 2013.

---

რალური მტკიცებულებები, რადგან პოლიციელთა ჩვენებები შეიძლება მიკერძოებული ხასიათის იყოს.

შესწავლილი დადგენილებები ადასტურებს, რომ სასამართლო საქმეებს ფორმალურად განიხილავს, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიციელთა ახსნა-განმარტებებს ენიჭება და არა მტკიცებულებათა უტყუარობას. აღნიშნული პრაქტიკა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში პროცესუალური გარანტიების არარსებობა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, პირი დაუსაბუთებლად მიიჩნიოს სამართალდამრღვევად.

